

# საერთო მანქანა

№48 (411) • 21 დეკემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1 ლარი

## ნიკოსიან თბილისელა



იყო დრო, თბილისს ნიკოსია ერქვა. ...მოხდა „გაუთვალისწინებელი“ ამბავი – თბილისის მერად აირჩიეს დავით ნარმანია – წესიერი, პატიოსანი, თავმდაბალი და მოკრძალებული ინტელიგენტი კაცი, რომელიც არაფრით არ ჰგავდა თავის წინამორბედებს. იყო რაღაც უჩვეულო და უცხო ამ არჩევანში...

### შოთა ჩხეიძე:

ქვეყანაში უამრავი კარგი საქმე რომ კეთდება, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის?

ჩვენი ქვეყანა ახლა მძიმე ქირურგიული ოპერაციიდან გამოყვანილ ავადმყოფს ჰგავს, რომელმაც რენიმიაციისა და რეაბილიტაციის პროცესები უნდა გაიაროს.



### მელორ სტურუა:

მესამე რაიხი ნარკოტიკებზე „იჯლა“

თვით შიტლერიც მოიხმარდა „მაგიურ ნივთიერებას“



რა შეთანხმება შეიძლება შედგას რუსეთსა და აზუ-ს შორის საქართველოსთან დაკავშირებით?



„ტროას ცხენები“ ქართული პოლიტიკის თავლაში



### მალხაზ ბასილია:

სახელმწიფო უწყების თანამშრომლების მიერ ჟურნალისტის ცემა ნორმა თუ არის, მითხრან და გავჩუქდები!

### გსოფლიოს

აღაშიანებად გარდასახული უსსოვლანებელები აკონტროლებენ?

### გიორგი ჭინჭარაული:

თუ ასე გაგრძელდა, ვალების გადაუხდელობის გამო, დაგვისავიან კრედიტორები და ნავთვლიან პოლიტიკური რუკიდან

# ნიკოსიადან თბილისამდე



ზოგადად, მთელი ქვეყნის არნახული მარცვა-გლეჯა. ვინმე რომ ამოწიოს საარქივო მასალებიდან დოკუმენტები, თუ როგორ ჩაღის ფასად იყიდებოდა ძვირადღირებული საერთო-სახალხო ქონება, უდავოდ შეძრწუნდება და გაოცდება ამ გაუგონარი ყაჩაღობის მასშტაბებით და იმ ხაზგასმული უტიფრობით, რაც ამ საყოველთაო მორღობობას თან სდევდა.

შეძრწუნების და გაოცების ხარისხი კიდევ უფრო მაღალი იქნება, როცა ამ დოკუმენტებში ისეთი ადამიანების გვარ-სახელსაც აღმოაჩენ, რომლებიც ქალაქს წესიერი და პატიოსანი მოქალაქეები ჰგონია, სინამდვილეში კი ეს წესიერი და პატიოსანი მოქალაქეებიც აქტიურად იყენებდნენ ჩართულნი მშობლიური ქალაქის დაყაჩაღებაში.

რამდენი ნგრევა, აწიოკება, გადაწვა გადაიტანა ამ ქალაქმა ათასი ჯურის დამპყრობლებისგან, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეული ის არის, რომ არც შინაურ დამპყრობლებს დაუკლიათ მისთვის ხელი.

ნიკოსიას „ეპოქა“ რომ დამთავრდა, მცირედენი „შესვენებების“ შემდეგ, ახალი შინაური დამპყრობელი მოველინა ქალაქს „ნაციონალების“ სახით და ახლა იმით წესებს და გლიჯებს ისედაც უამრავი ჭრილობებით დასერილი ქალაქის სხეული.

ნიკოსიას ამბების არ იყოს, არც ნაციონალების მიერ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი კრიმინალური საქმეები შეუსწავლია ვინმეს დეტალურად, თორემ ბევრი, ძალიან ბევრი ქალაქის წინამთავრობიდან, დღესაც ურცხვად რომ ატარებდნენ ენას, ხმის ამოღებას ვერ გაბედავდა.

მილიონები კი არა, მილიარდები აქვთ გაზიდული ვიღაც-ვიღაცებს ამ ქალაქიდან.

2012 წლის 1 ოქტომბრამდე რაც თბილისში ხდებოდა, ეს იყო დიდი მარცვის და ყაჩაღობის უწყვეტი ჯაჭვი, კრიმინალზე წაბმული კრიმინალი, ესტაფეტასავით რომ გადადიოდა ქალაქის ერთი მთავრობიდან მეორის ხელში.

და, აი, მოხდა „გაუთვალისწინებელი“ ამბავი — თბილისის მერად აირჩიეს დავით ნარმანია — წესიერი, პატი-

ოსანი, თავდაბალი და მოკრძალებული ინტელიგენტი კაცი, რომელიც არაფრით არ ჰგავდა თავის წინამორბედებს.

იყო რაღაც უჩვეულო და უცხო ამ არჩევანში.

— ნარმანია, ეს წესიერი კაცი, რას გახდება ამ ქალაქში? აქ მგელი უნდა იყო, მგელზე უფრო დიდი მგელი, რომ სხვა მგლებმა და ტურებმა არ შეგჭამონ, — გულწრფელად წუხდა მოქალაქეთა ერთი ნაწილი და ნარმანიას მერობას ცუდ დასასრულს უწინასწარმეტყველებდა.

მგლების თარეშს შეჩვეული ქალაქისთვის დავით ნარმანიას ფიგურა ვერა და ვერ ჯდებოდა მმართველის იმ სტერეოტიპულ ჩარჩოებში, რომლებსაც წლების განმავლობაში ისე შეეგუა, რომ „უცხო“ კაცის დანახვა ესამუშა.

ის, რაც ახლა ვთქვით, მხოლოდ თბილისის მერის შესაფერისი კანდიდატურის ჩამოყალიბებულ სტერეოტიპს არ ეხება, ზოგადად, საზოგადოებას ჯერ კიდევ მოსწონს მარიფათიანი, კაი ფულის მშოვნელი, ცოტათი დარდიმანდი და მოძველებილი ტიპები, თვითონაც რომ ჭამენ და სხვებსაც რომ აჭმევენ.

საბჭოთა პერიოდიდან გადმოყოლილი და შევარდნაძე-სააკაშვილის კრიმინალურ „ეპოქაში“ კიდევ უფრო განმტკიცებული ეს მენტალიტეტი სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ აღმოფხვრა ჩვენი საზოგადოების ცნობიერებიდან.

წესიერება, პატიოსნება, პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ეს, ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ არ ითვლება იმ თვისებებად, რომლებიც ღირსებას და ავტორიტეტს მატებს ადამიანს.

განა იშვიათად გაგვიგონია წესიერი ადამიანის მისამართით ნათქვამი, რომელიც არ იპარავს, ქრთამს არ იღებს, კანონებს ზედმიწევნით იცავს — ადგილს აფუჭებს.

დავით ნარმანია ვიღაც-ვიღაცებს ზუსტად იმიტომ არ მოეწონათ, რომ მიხვდნენ, ეს კაცი ურთიერთობების ძველ სტანდარტებს აუცილებლად დაამსხვრევდა და ალებ-მიცემობაში გამობრძმედილ ვალთაბანდებს და მაქინატორებს ფრთებს შეუკვეცავდა.

დავით ნარმანია ასეთი კატეგორიის ადამიანებისთვის არა მარტო უცხო, არამედ სახიფათო და საშიში ადამიანი იყო, რომლსაც შეეძლო დაენგრია კარგად აწყობილი კორუფციული სქემები.

სწორედ ამიტომ ააგორეს შავი პიარი ნარმანიას წინააღმდეგ, რომელიც დღემდე არ გაჩერებულა.

— დავით ნარმანია თბილისის მერებიდან ყველაზე ცუდი მერია! — ყოველგვარი დასაბუთების, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე დაახუთქებს ვიღაც ტელეეკრანიდან და გაივლის.

იქით ინვა გრიგოლია აკვილდება და ხალხს შეერის: ნახეთ, რა საშინელება ხდება, ქალაქის მერია თანამშრომლებისთვის დანა-ჩანგლის ხმარების შესწავლაში 7000 ლარს ხარჯავს.

სხვა არხზე გადართავ და ეკრანიდან ცრუბუნტელა ალექო ელისაშვილი „ახვავებს“ თითიდან გამოწოვილ „ბრალდებებს“ მერიის მისამართით და აპოკალიფსურ სურათს ხატავს.

იქნებ, ვინმეს ჰგონია, რომ ეს ყველაფერი სპონტანურად, გულწრფელი გულიწკვივილის და ემოციების ფონზე ხდება და არა გეგმაზომიერად, წინასწარ დაწერილი სცენარის მიხედვით, რომლის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული ზოგიერთი მედიასაშუალება და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი.

ამ კარგად ორგანიზებული და კარგად დაფინანსებული პიარკამპანიის უკან, ცხადია, ადამიანთა კონკრეტული ჯგუფები დგანან.

მისანი ერთია: რაღაც არ უნდა დაუჯ-

იყო დრო, თბილისს ნიკოსია ერქვა. ეს სახელი ენაკვიმატმა თბილისელებმა ქალაქს მისი იმჟამინდელი მერის „საპატივცემულოდ“ დაარქვეს, რომელიც, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, პირად საკუთრებასავით ექცეოდა დედაქალაქის ქონებას.

თბილისელებს კარგად ახსოვთ, როგორ იყიდებოდა კუპონებში მაღაზიები, სხვადასხვა სახის ობიექტები, საწარმოები, შენობები, მიწის ნაკვეთები, რომლებში გადახდილი თანხის რაოდენობა დოლარებში გადაყვანილ 20, 30, 50 დოლარს არ აღემატებოდა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ყველაფრის უკან სარფიანი გარიგებები და კარგად აწყობილი კორუფციული სქემა იმალებოდა, თუმცა, ვინ იყო ამ უმსგავსობის ან მომკითხავი, ან გამკითხავი?

ზომ გითხარით, ქალაქს ნიკოსია ერქვა-მეთქი, ნიკოსიაში კი თამაშის სხვა წესები მოქმედებდა.

ოფიციალურად ამ თამაშს ლამაზი სახელი პრივატიზაცია ერქვა, თუმცა, პრივატიზაცია სულ მალე პრივატიზაციად იქცა და დაიწყო თბილისის და,

ახალი შინაური დამპყრობელი მოველინა ქალაქს „ნაციონალების“ სახით და ახლა იმით წესებს და გლიჯებს ისედაც უამრავი ჭრილობებით დასერილი ქალაქის სხეული.

ნიკოსიას ამბების არ იყოს, არც ნაციონალების მიერ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი კრიმინალური საქმეები შეუსწავლია ვინმეს დეტალურად, თორემ ბევრი, ძალიან ბევრი ქალაქის წინამთავრობიდან, დღესაც ურცხვად რომ ატარებდნენ ენას, ხმის ამოღებას ვერ გაბედავდა.

მილიონები კი არა, მილიარდები აქვთ გაზიდული ვიღაც-ვიღაცებს ამ ქალაქიდან.

2012 წლის 1 ოქტომბრამდე რაც თბილისში ხდებოდა, ეს იყო დიდი მარცვის და ყაჩაღობის უწყვეტი ჯაჭვი, კრიმინალზე წაბმული კრიმინალი, ესტაფეტასავით რომ გადადიოდა ქალაქის ერთი მთავრობიდან მეორის ხელში.

და, აი, მოხდა „გაუთვალისწინებელი“ ამბავი — თბილისის მერად აირჩიეს დავით ნარმანია — წესიერი, პატი-



**„საერთო გაზეთი“**  
 გამომცემელი: შპს საგაომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“  
 მის: თბილისი, ალფაშენაბლის 164;  
 ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;  
 E-mail: saertogazeti@yahoo.com  
 რეგისტ. №202375349; შპს (სბც) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი პერიოდის ვალდებით. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იზაქაძევა შპს „სასაბალ-დასაბალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39 © 2016 წლით აღნიშნულია სარედაქციო მასალები.



დაბოლოს, არ ვწერ ამ წერილს იმისთვის, რომ დავით ნარმანიას გამოვესარჩლო ან საქებარი სიტყვებით გავამხნევო. მე, უბრალოდ, სიმათლეს ვამბობ იმ სიცრუისა და შავი პიარის საპირწონედ, რომლითაც სრულიად დაუმსახურებლად და უსამართლოდ ებრძვიან ერთ წესიერ და თავისი საქმის ერთგულ ადამიანს.

დაიხ, სიმათლეს ვამბობ, მაგრამ როცა გამუდმებით, ყოველდღე, მიზანმიმართულად ადამიანებს ტვინში უჭედავენ ერთსა და იმავე სიცრუეს, ერთსა და იმავე ყალბ, უსაფუძვლო მოსაზრებებს და შეფასებებს ამა თუ იმ პიროვნების შესახებ, სიმათლეს ძნელი აღსაქმელი და დასაჯვრებელი ხდება საზოგადოებისთვის, რომელიც ამ პიარკამპანიის ზეგავლენით კომპლექსდება და რაღაც დოზით იჯერებს კიდევაც ამ ცრუ ინფორმაციებს.

ეს აპრობირებული მეთოდაა, რომელსაც არაკეთილსინდისიერი ადამიანები სისტემატიურად იყენებენ თავიანთი ოპონენტების წინააღმდეგ, რომელიც სინამდვილეში არა მხოლოდ კონკრეტული ოპონენტების, არამედ მთელი საზოგადოების წინააღმდეგ არის მიმართული.

დავით ნარმანიას სასახელოდ უნდა უთქვას, რომ მან გაუძლო ამ მასირებულ ფსიქოლოგიურ შეტევას. ამ შეტევას უნდა გაუძლოს საზოგადოებამაც და სიცრუეს ფარად სიმათლეს უნდა დააახვედროს.

მასტანბ ხარჩილავა  
593 44 94 01

დეთ, დაარწმუნონ საზოგადოება, რომ ნარმანიას მერობის დროს თბილისში სახიერო არაფერი გაკეთებულა, რომ ნარმანია ცუდი მერია და ა. შ.

**ჩემი აზრით, დავით ნარმანია ცუდი მერი კი არაა, ერთ-ერთი ყველაზე საუბოთესო მერიაა, ვინც კი ოდესმე თბილისს ჰყოლია და ამის დასამტკიცებლად უამრავი არგუმენტის მოტანა შემიძლია.**

რატომ არის ცუდი მერი ნარმანია — იმიტომ, რომ არ იპარავს, არ ქურდობს, კორუფციულ სქემებში არ არის ჩართული და ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე რესტორნებში და საუნებში არ გრიალებს?

ნარმანიას მიმართ ყველაზე კრიტიკულად, შეიძლება ითქვას, მტრულად განწყობილი ოპონენტებიც კი

ვერ ბედავენ იმის თქმას, რომ დავით ნარმანიას რამეზე ხელი წაუცდა და თუნდაც კაპიკის საღირალი რამ სახლში წაიღო.

გაიხსენეთ, რა ხდებოდა თბილისში თუნდაც უგულავას მერობის დროს, შეადარეთ დღევანდელ სიტუაციას და მიხვდებით, რომ ქალაქში პალსტუხიანი მოროდორების დრო დამთავრდა.

რაც შეეხება გაკეთებულ საქმეებს, ან ძალიან დიდი უნამუსო უნდა იყო, ან ბრმა, რომ ვერ დაინახო, თუ რამდენი რამ გაკეთდა თბილისში ნარმანიას მერობის დროს.

რა თქმა უნდა, პრობლემები არის, მაგრამ ეს ის პრობლემებია, რომელთა გადაწყვეტას დრო სჭირდება და ახლო მომავალში ეს პრობლემური საკითხებიც აუცილებლად მოგვარდება.



**P.S.** — დავით ნარმანია კარგი მერიაა, მაგრამ იმიჯური პრობლემები აქვს... ეს ისეთი პრობლემაა, რომელსაც ეს ქალაქი ვერ ეგუება... ჩვენ მას ამის შესახებ ველაპარაკეთ, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქციაო, — ბრძანა ერთმა პარლამენტარმა.

პარლამენტარს არ დაუზუსტებია, კონკრეტულად რა იმიჯურ პრობლემებზე ჰქონდა, საუბარი და რას არ მიაქცია ყურადღება ნარმანიამ, თუმცა იმდენჯერ და ისე ხაზგასმით ახსენა პარლამენტარმა ეს იმიჯური პრობლემა, რომ მიმხვედრი მიხვდებოდა, რაზე იყო ლაპარაკი.

მეგრული კილო დაჰკრავს ნარმანიას საუბარს და, როგორც ჩანს, სწორედ ეს არის ის იმიჯური პრობლემა, რაც პატივცემული პარლამენტარის მახვილ ყურს არ გამოჰპარვია.

დავით ნარმანია, რომელიც დახვეწილი ლიტერატურული ქართულით კი ლაპარაკობს, ოღონდ ოდნავი მეგრული ინტონაციით, ეს არის იმიჯური პრობლემა და ამას ვერ ეგუება ქალაქი?

ვინც ამას პრობლემად აღიქვამს, ვფიქრობ, სწორედ მას აქვს პრობლემა — იმიჯურიც და მენტალურიც.

ნარმანიას ხშირად წამოაძახებენ ხოლმე — სოფელია, სოფელ კოკიდან და ასეთ კაცს თბილისის მერად რა

უნდაო? ამის მოქმელს ავიწყდება, რომ თბილისი საქართველოს დედაქალაქია და ის თანაბრად ეკუთვნის ყველა ქართველს, კოკიდან იქნება ის თუ მანავიდან, მულახიდან თუ ჭიჭათხევიდან.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩატარებული აღწერის მიხედვით, თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტი იყო ქართველი, დანარჩენ 80%-ს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები შეადგენდნენ.

ასე რომ, თბილისის დღევანდელი ქართველი მოქალაქეების წინაპართა უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულებისგან შედგება და სწორედ მათი წყალობით გახდა თბილისი ქართული ქალაქი.

ეს დავით ნარმანია, თავისი მეგრული კილოთი, ასპროცენტინი ქართველი რომ არის, ცხადია, მაგრამ ის ვინდა არის, ქალაქელობას რომ „აწევბა“ და სწორედ თავისი ქალაქელობის გადმოსახედიდან, მეგრული, გნებაუთ სვანური, კახური თუ იმერული კილო იმიჯურ უხერხულობას და დისკომფორტს რომ უქმნის?

ამ თემაზე პასუხის გაცემას სხვა დროს და სხვა წერილში შეეცდებით...

3. 6.

## იოსებ ბროსაშვილი: გამოთხოვება ძველ თბილისთან

შენ აგინსნია ბევრი ქარაგმა, ქორონიკონის კენტი და ლუნი, - მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა რა სურათები მოხატა უნინ.

თუ ჩაგივლია სირაჩხანისკენ, დაჰკვირვებინარ ამ ქუჩებს კარგად - გაგაოცებდა რუმბების სისქე და ჭიანურზე დაკრული ჩარგა.

სიძველისადმი გრძნობა, პატივი, თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს - მიხვდები ასე ანდამატივით რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს.

მიხვდები, რატომ არ დაერიდა ჩემი ლექსები პოეტთა კილვას და რატომ ვცდილობ ამიერიდან ასე თამამად ნარსულის ხილვას.

აი სეირი ჯერ არნახული! სადღაა ეშხი და სილამაზე! არ სჩანს ურმები მოჩარდახული ღამისმთევლებით ბოლნისის გზაზე.

ღვინოს საფლავზე არვინ მიგიტანს, ჩამოიხია ბაღდადის ფორი, - ეს, საღა ნახავ ელამ მიკიტანს თავის დუქანთან მიბმული ყორით!

კრივი, ამქარი, ცეკვა, ართურმა, - ეს ადათები ძველთაგან ძველი გადაივინყა სიტყვამ ქართულმა და დამრჩა... სევდა ნაუბაძველი.

აი, პირმალზე ვწევარ გულადმა. ჩემი ოცნება ფრენას ვერ ითმენს. აი, აფეთქდა აისი ნაღმად. აი, ლექსისთვის ვწვივი რითმებს.

ძველებურ განცდით ვდარაჯობ ნიავს, რომ შორეული ჰანგი მომფინოს - მაგრამ ზურნის ხმა ვილაცას მიაქვს, ვერ აღწევს ჩემი სახლის ლორფინოს.

დუღუკის ნაცვლად - ქარხნის საყვირი. დუმბო და ზილი დაახშო რკინამ. ბულბულს - ყაზაფა, გრძნობას - ალვირი. აღარც დუღუკი... აღარც ყიჟინა...

და მე არ ვიცი ვილას ვემონო, ასეთ ყოფაში თითქოს მოვბერდი... ვრჩები ოტელო უდებდემონოდ მე, სხვა ცხოვრების წინამორბედი.

ძველო თბილისო! დღეს ისე მკვეთრად ველარ შეგაქებ... არ მაქვს უნარი... მაგრამ ვამაყობ, რომ ჩემთან ერთად დარჩები მუდამ გაუხუნარი.

ძველო თბილისო! ჩემი მიზნები აღარ მაქვს, გულში რომ გინახავდი... გადანყდა, უნდა შეეცვალო გზები... ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის...

# შოთა ჩხეიძე:

# ქვეყანაში უამრავი კარგი საქმეა, რომ კეთდება, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის?

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა ჩხეიძე:

დავიწყებ იმით, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებთან და ცენტრთან ინტეგრირებული სისტემის მყისიერი მოშლის შედეგად დაინგრა. რღვევის პროცესი განსაკუთრებით 90-იანი წლების პირველ ნახევარში გაღრმავდა (სამოქალაქო ომი, ეთნოკონფლიქტები და სხვ.) 1997-98 წლიდან ქვეყნის ეტაპობრივი რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო, რომელმაც 2004 წლიდან ვერცერთ დარგში ვერ ჰპოვა გაგრძელება და პირიქით, ყველა დარგში უკუსვლა მოხდა. საზოგადოების დიდი ნაწილი ადექვატურად აფასებს, რა მდგომარეობაში ჩაიბარა ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანა და რა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები გაატარა ვითარების გამოსწორებლად გასული ოთხი წლის მანძილზე (განსაკუთრებით სოციალურ სფეროში), თუმცა მავანთა ზღვარს-გადასული უმადურობა გაოცებას იწვევს.

მოგეხსენებათ, რომ ე.წ. „ვარდების ხელისუფლების“ დროს, სხვადასხვა სოციალური ფენის

რი დახმარება გაუორმაგა. რაც შეეხება პენსიონერების უმრავლესობას, რომლებიც ოჯახში, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობენ და 10 და შემდეგ 20 ლარის მომატებით უკმაყოფილოა, (რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან წელიწადში 250 მლნ ლარი იხარჯება), მინდა ვკითხო:

- ღმერთმა გამრავლოთ და ოჯახში თუ გყავთ შვილიშვილი ან შვილითაშვილი და საბავშვო ბაგა-ბაღში გადასახადს (საშუალოდ, 100 ლარს) აღარ იხდით, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? თქვენს შვილიშვილს 300 ლარამდე სკოლის სახელმძღვანელოებს უფასოდ რომ აძლევდნენ, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? თქვენს შვილს ან შვილიშვილს უმაღლეს სასწავლებელში 21 სპეციალობაზე სწავლის საფასურის გადახდა რომ არ მოუწევს (საშუალოდ 2000-2500 ლარი წელიწადში) ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? თქვენი ოჯახის წევრი თუ სკოლის მასწავლებელია, მას რომ თავიდან 80 ლარი დაუმატეს ხელფასზე და შემდეგი წლიდან კიდევ 50 ლარი მისცეს, ეს თქვენი პენსიის მომა-

არის? თუ თქვენი ოჯახი სოფლად ცხოვრობს და მცირემწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით ისარგებლეთ, ამ 4 წლის განმავლობაში რომ 4-ჯერ უსასყიდლოდ რომ დაგიხნეს მიწა და უსასყიდლოდ მოგცეს თესლი, შხამქიმიკატები, ვეტერი-ნარული პრეპარატები, სასუქები, სასოფლო-სამეურნეო იარაღები: თოხი, ბარი და სხვ. ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? თუ თქვენ ქალაქში ცხოვრობთ და საზოგადოებრივ ტრანსპორტში შეღავათით სარგებლობთ, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? თუ თქვენი ოჯახი მრავალშვილიანია, ყოველ მე-3 და შემდეგ ბავშვზე, 2 წლის ასაკამდე რომ ოჯახი 200 ლარს (მთაში) ან 150 ლარს (ბარში) იღებს, ასევე მშობიარობაც რომ უფასო გახდა, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? მთელი თქვენი ოჯახი რომ უფასო სამედიცინო დახმარებით სარგებლობს (ვიზიტი ექიმთან, ანალიზები, დიაგნოსტიკური კვლევა, ოპერაცია 15 ათასი ლარის ფარგლებში) და ა.შ. ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? ცნობისთვის, უფასო საყოველთაო სამედიცი-



ერ მუშაკი ბრძანებით, ხელფასი რომ გაგეზარდათ 250 პროცენტით, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? თუ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი ლტოლვილი, ვეტერანი, სოციალურად დაუცველი ან უნარშეზღუდული ბრძანებით, დახმარება და შეწყობა რომ გაგიორმაგდათ და სოციალური პროექტების განხორციელებაზე სახელმწიფო ბიუჯეტის მესამედი იხარჯება, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? სიტყვა გამიგრძობდა, თუმცა მე მხოლოდ მხოლოდ ის ღონისძიებები ჩამოვთვალე, რომლებიც უშუალოდ დახმარებას ან მის დაზოგვას ეხება. თუმცა, უნდა ითქვას, ნორმალურ პენსიამდე მისაღწევად, ჩვენმა ქვეყანამ მთელი რიგი რეფორმების გატარება უნდა შეძლოს.

— კონკრეტულად, რომელ რეფორმებს გულისხმობთ?

— თუნდაც იმას, რომ ხელისუფლება მომავალი პენსიონერებისათვის ე.წ. შეგროვების პენსიას დააწესებს. კერძოდ, თითოეული საჯარო მოხელე თავისი ხელფასის 2%-ს დათმობს, რასაც სახელმწიფო 4%-ს დაუმატებს და დაგროვილი თანხა ამ პიროვნების საპენსიო ასაკამდე შეინახება. ჩვენ ჯერ ძალიან შორს ვართ სასურველი ცხოვრებისეგან, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო 4 წელიწადში მოსახლეობის უღატაკესი ფენა 13%-ით შემცირდა. ისიც ფაქტია, რომ საყოველთაო სამედიცინო დახმარების წყალობით, ბოლო 4 წელიწადში პენსიონერთა სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა და რაოდენობა 40 ათასით გაიზარდა, როცა 1991 წლიდან ყოველწლიურად ათასობით მცირდებოდა.

— იქნებ, მოსახლეობის გადატაკების მიზეზზე გვითხრათ ორივე სიტყვა..

— მოსახლეობა ახლა კი არა, წინა ხელისუფლების დროს გადატაკდა, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევებიც ადასტურებს: 500 000 ოჯახს წინა ხელისუფლების დროიდან, ბანკებისა და მეკავშირების ვალი გამოჰყვა. თავის დრო-

ზე, ეს ვალები ოჯახის წევრთა ფასიანი სამედიცინო მომსახურების, ქირურგიული ოპერაციებისა და ციხიდან თავის დასაღწევად აიღეს. ისიც ცნობილია, რომ 300 ათასზე მეტმა პრობაციონერმა თავისუფლება საპროცესოს გადახდის სანაცვლოდ მიიღო. დღეს ამ ადამიანებს ვალების დაფარვა უწევთ.

მიმაჩნია, რომ სოციალურ სფეროში, კერძოდ პენსიონერთა, სოციალურად დაუცველთა, ლტოლვილთა მიმართ ძალიან ბევრი გაკეთდა და ზოგიერთების უმადურობა, მათი გაუთვითცნობიერებით უნდა აიხსნას. რაც შეეხება ხალხის სიღარიბით „გულდათუთქულ“ ნაციონალებს, ვფიქრობ, მათ ხელისუფლების კრიტიკის მორალური უფლება არ გააჩნიათ, რადგან მიზანდასახულად დააქციეს და გამარცხეს ჩვენი ქვეყანა.

იმ დროს, როცა „ნაცმოძრაობა“ „კორუფციის საბოლოო დამარცხებით“ იწონებდა თავს, „შავმა ფულმა“ 54 მილიარდი შეადგინა და ჩრდილოეთის ეკონომიკა 75%-ს აჭარბებდა. მე არცერთი პარტიის წევრი არ გახლავართ და არც ხელისუფლებისაგან ვარ რამით დავალებული, მაგრამ მოქალაქეობრივი ვალდებულება, პროფესია და ჩატარებული კვლევების შედეგები მაიძულებს ვთქვა: საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ახლანდელი მთავრობა შეფასებულია, როგორც ერთ-ერთი ეფექტური მთავრობა ევროპაში. ჩვენი ქვეყანა ახლა მძიმე ქირურგიული ოპერაციიდან გამოყვანილ ავადმყოფს ჰგავს, რომელმაც 2004-2012 წლებში გადატანილი ავადმყოფობის შემდეგ, ფეხზე დადგომამდე, რეანიმაციისა და რეაბილიტაციის პროცესები უნდა გაიაროს. ჩვენი ვალია, ობიექტურად შევაფასოთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, თავი დავეანებოთ უსაფუძვლო საყვედურებს. ჩავერთოთ ქვეყნის დაწვეულ აღმშენებლობაში და გაეზადოთ ჩვენი ქვეყანა ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი.

ნალი თორღია  
571 35 36 88



ხანდაზმული ადამიანებისთვის პენსია თვეში 75-დან 125 ლარამდე შეადგენდა. ახალმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე, პენსია ყველასათვის გაათანაბრა და თვეში 150 ლარი გახდა. ისიც გემახსოვრებათ, ხელისუფლების მიერ გაკეთებულ განცხადებას 2015 წელს პენსიის 10 ლარით გაზრდაზე, მოსახლეობის ნაწილის უკმაყოფილება და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა არაადეკვატური და უხამსი გამოხვლები რომ მოჰყვა. იგივე განმეორდა მომდევნო წელს პენსიების 20 ლარის გაზრდაზე გაკეთებული განცხადების შემდეგ.

მოგეხსენებათ, რომ იმ პენსიონერების კატეგორია, რომლებიც მარტო ცხოვრობენ ან მათ კმაყოფილება ოჯახის რომელიმე წევრია, ძალიან მცირეა და მათ ხელისუფლებამ სოციალუ-

ტება არ არის? თქვენი ოჯახის წევრი თუ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელია, მას რომ 20-25%-ით გაუზარდეს ხელფასი, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? თუ თქვენი ოჯახის წევრი წარმატებული სპორტსმენია და ხელისუფლებამ მატერიალური წახალისება გადასცა (17 მილიონ ლარზე მეტი გაიცა), ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? თუ სოფლად ცხოვრობთ, თქვენ შვილიშვილს რომ სასკოლო ავტობუსი უფასოდ ემსახურება, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? (1000-ზე მეტ სკოლის 53000 მოსწავლეს ავტობუსი ემსახურება) თუ თქვენი შვილიშვილი პროფესიულ საჯარო კოლეჯში სწავლობს ან ისწავლის, სახელმწიფო რომ მთლიანად დააფინანსებს და 9 ათასი სტუდენტის უკვე დაფინანსებულია, ეს თქვენი პენსიის მომატება არ

ნო დახმარება ბევრ განვითარებულ სახელმწიფოსაც კი არა აქვს.. თუ თქვენი ოჯახის წევრი ჩ პეპატიტითაა დაავადებული და მკურნალობაში, რომლის ფასი თითქმის 100 000 დოლარია, თანხის გადახდა რომ არ გიწევთ, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? ყველა პენსიონერს რომ წელიწადში ერთხელ შეუძლია 100 ლარის საფასურის მედიკამენტების შეღავათიან ფასებში აღება, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? თუ თქვენ მთიან რეგიონში ცხოვრობთ და ხელისუფლების გადაწყვეტილებით, პენსია 216 ლარი გაგიზღვრათ, ელექტროენერგიას და ბუნებრივ აირს შეღავათიან ფასებში მიიღებთ, ამასთან ერთად, სამეწარმეო საქმიანობის გადასახადებს არ გადაიხდით, ეს თქვენი პენსიის მომატება არ არის? თუ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი მეცნი-

# რა შეთანხმება შეიძლება შედგეს რუსეთსა და აშშ-ს შორის საქართველოსთან დაკავშირებით?

გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არამიძე:

– ბატონო მამუკა, ტრამპის არჩევით ამერიკელმა ხალხმა უარი უთხრა იმ კურსს, რაც მას ბოლო წლებში აქვს. რას შეიძლება მოველოდეთ?

– ჩვენთან გახმაურებული არაა, მაგრამ დიდი როლი, განსაკუთრებით ესპანურენოვან მოსახლეობაში, ტრამპის შეიღებულქიანმა დოკუმენტმა ითამაშა, რომელიც ქრისტიანული ფასეულობების მხარდაჭერას ეხებოდა. ამან განაპირობა ის, რომ ესპანურენოვანმა ემიგრაციამ რომლის ნაწილსაც, სხვათა შორის, გაქვება ემუქრება, მხარი მაინც ტრამპს დაუჭირა. მესამე, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ტრამპმა განსაკუთრებული აქცენტი ინდუსტრიის აღდგენაზე აწუხ, სოციალური ვითარების გაუმჯობესებაზე გააკეთა. რაც შეეხება ინდუსტრიის აღდგენას, საქმე ისაა, რომ ამერიკის საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ, რომლებიც ტექნოლოგიური თვალსაზრისით, რასაკვირველია, ძალიან მაღალი ხარისხისაა, მაგრამ ფასი ძვირია, თავიანთი საწარმოების გადატანა იქ გადაწყვიტეს, სადაც უფრო იაფი მუშახელია – ჩინეთში. ჩინური ეკონომიკური საოცრების ერთ-ერთი ფაქტორი ესეც იყო. ჩინეთში, დღეს, არამხოლოდ ამერიკული, არამედ ევროპული ბრენდების უზარმაზარი საწარმოები მუშაობს. აქედან გამომდინარე, მუშახელი, საწარმოს საშუალებები იაფია, რამაც ჩინური ეკონომიკური საოცრება

რიტორიკა ორიენტირებული იყო საწარმოების ამერიკაში დაბრუნებაზე და აქედან გამომდინარე, ამერიკის ინდუსტრიის აღორძინებაზე, ეს ხალხში ძალიან დადებითად მუშაობდა. საწარმოების ამუშავებას, ბუნებრივია, სოციალური ფონის გაუმჯობესება მოჰყვება. ეს იყო ის სამი-ოთხი ძირითადი გზავნილი, რამაც ტრამპის გამარჯვება განაპირობა.

სხვათა შორის, ამერიკელ ხალხს დამარცხებული ხალხის კომპლექსი გაუჩნდა. პრინციპში, ყველა ომი წააგეს. უფრო სწორად, ბოლო პერიოდში, ამერიკის მიერ წამოწყებული ყველა სამხედრო პოლიტიკური ავანტიურა – ავღანეთში, ერაყსა თუ სირიაში იმ შედეგით არ დამთავრდა, რასაც მოელოდნენ. ამიტომ, გარკვეული გაღიზიანება, ამ თვალსაზრისით, იყო. მაგრამ რადგან საზოგადოება ორიენტირებულია, ქვეყანამ დაკარგული პოზიციები დაიბრუნოს, იცოდეთ, რომ აშშ-ს პოლიტიკა, ამ მიმართულებით, არ შეიცვლება.

– რაც შეეხება რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას, როგორ შეიძლება აისახოს ამერიკასთან მიმართებაში?

– რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობა თემატურია. ის, რომ რუსებმა თურქეთს სამხედრო ამბოხების თაობაზე შეატყობინეს, ეს სიტუაციას არ ცვლის. თურქეთი ებრძვის რუსეთის მუდმივ საფრდენს ახლო აღმოსავლეთში – ქურთებს. ამიტომაც ვამბობ, რომ თუ დღეს თურქეთი და რუსეთი თანამშრომლობენ, ეს თემატური თანამშრომ-

დებ, აღმოსავლეთ საქართველოს და ბოლოს ჩრდილოეთ-კავკასიის მასშტაბით გადაიზრდება. რუსეთი შორეულ პერსპექტივაში იყურება და თვლის, რომ თურქეთის აქტივობა სამხრეთ-კავკასიაში დღესვე უნდა შეიზღუდოს, რათა მერე, უფრო შორს არ გაგრძელდეს. ასე, რომ არავინ დაიჯეროს, რომ პოლიტიკურად რუსეთი და თურქეთი, ხანგრძლივი პერსპექტივის თანამშრომლობის თვალსაზრისით, ოდესმე მოილაპარაკებენ.

– ახალი რეალობის – ტრამპის გაპრეზიდენტების შემდგომ, როგორ გეხატებათ კავკასიის მომავალი. ნაკლებ სავარაუდოა, რუსეთმა კავკასია დათმოს. ამ კუთხით, რა შეთანხმება შეიძლება შედგეს რუსეთსა და ამერიკას შორის?

– დიახ, რუსეთი კავკასიაში გავლენებს არ დათმობს. პროგრამა მაქსიმუმი არის, რომ თბილისს რუსეთის მიმართ ლოიალური ხელისუფლება ჰყავდეს, მინიმუმი კი არის, რომ არ მოხდეს ნატოს ჯარების რაღაც ფორმით სამხრეთ-კავკასიაში განლაგება. ახლა, რუსეთი პროგრამა მინიმუმზეა ორიენტირებული, სხვა საშუალება, ჯერჯერობით, არ აქვს. რუსეთს რაც უნდა და საქართველოში, აბსოლუტურად, ყველაფერი წაიღო – აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი. ასევე, ორივე რეგიონში სამხედრო ბაზები შექმნა, პლუს ახალი რეგულაცია შემოიღო, რომლის მიხედვითაც სამხედრო ხელმძღვანელობა მის ხელშია. მან სომხეთშიც იგივე გააკეთა და



იქნება. მით უმეტეს, რომ დღეს, თურქეთის ხელმძღვანელობა ფორსირებულად ცვლის საერო ძალა-უფლებას რელიგიურზე. პლუს ეს ნიშნავს კონფორმაციას ირანსა და თურქეთს შორის, ასევე, ენერჯეტიკული სიმდიდრით – გაზით გაჯერებული რეგიონი მუდმივი ომისა და დაპირისპირების ქვეშ აღმოჩნდება და დასავლეთისთვის ენერჯეტიკული რესურსი დაიკარგება.

– ბატონო მამუკა, რაც არ უნდა იყოს ჩვენ, მაინც რუსეთის მეზობლები ვართ და არა აშშ-ს. ხომ არ აღმოვჩნდებით რუსეთის ორბიტაზე?

– ამის თქმა ძალიან რთულია, ეს ბევრ რამეზე დამოკიდებულია. ჩვენ, ვლადიკავკასიაში სხვა როგორ მოიქცევა და არ გვითქვამს როგორ მოიქცევა ქართული მხარე. პირადად, არ ვიცი როგორ მოიქცევა ჩვენი ხელისუფლება. ნებისმიერ პატარა

დასავლეთის და, განსაკუთრებით, ევროკავშირის მოუქნელი პოლიტიკის გამო. მაგალითად, რუსეთი სიამოვნებით ეხმარება ისეთ ორგანიზაციებს, რომელთაც ტრადიციონალისტური მიდგომა აქვთ. არავისთან არაფრის თხოვნა არ უნდა, ამაშია საქმე. აქ არ არის თხოვნა იმაზე, რუსეთის ერთგული და მომხრე იყავით. აქ, ლაპარაკია იმაზე, რომ შენ ტრადიციულ ფასეულობებს დაუჭირო მხარი და გააძლიერო. ტრადიციული ფასეულობების მხარდაჭერა, ხშირ შემთხვევაში, ნიშნავს კონფორმაციას დასავლურ ფასეულობებთან, მათ შორის, ისეთ ფასეულობებთან, რაც ჩვენთვის, აბსოლუტურად, მიუღებელია. სხვათა შორის, ამის გამოძახილია ის, რაც ვიზა-ლიბერალიზაციის გამო ხდება. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსისთვის, რომელიც შორს იყურება და თვლის, რომ ევროპის ასეთი მოუქნელი პოლიტიკა მას ამ შემთხვევაში, სამხრეთ-კავკასიის დააკარგვინებს, პრინციპის საკითხია მიიღებს თუ არა ვიზა-ლიბერალიზაციის საქართველო და უკრაინა. მათ სულ არ აინტერესებთ, სულ რომ გადალევოს საქართველოს კრიმინალმა ევროპა, ისინი მაინც ყველაფერს გააკეთებენ, რათა საქართველომ ვიზა-ლიბერალიზაცია მიიღოს. ამისთვის, სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს. ამ ბრძოლას, ჩვენ, აქ, ვერ ვხედავთ. ეს არის ბრძოლა პრინციპის გამო და არა იმის გამო, რომ ვიღაცას ეცოდება ან ქართველი ხალხი ან უკრაინელი. აქ არის ბრძოლა თვითონ ევროპულ სტრუქტურებში პრო-რუსებსა და პრო-დასავლელებს შორის. შორსმხედველი ევროპელი პოლიტიკოსები სამხრეთ-კავკასიას არ მოუშვებენ და, მით უმეტეს, თუ ამერიკული პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი სამხრეთ-კავკასია იქნა, მაშინ მათ მეტი ზურგი ექნებათ. დღეს, ვაშინგტონიდან მკვეთრი სიგნალი ბრიუსელში იმის თაობაზე რა სურს მას, არ ვიცი. ამიტომ პოლიტიკოსები, რომლებიც ვიზა-ლიბერალიზაციისთვის იბრძვიან, ფაქტობრივად, დონ-კიხოტების როლში არიან, მაგრამ თავიანთი გავლენების მეშვეობით სიტუაციის შეცვლას მაინც ახერხებენ.



გამოიწვია, რამაც ავტომატურად ამერიკაში დიდი საწარმოები გააჩერა. მაგალითად, ქალაქი დეტროიდი, რომელიც მანქანათმშენებლობის მექა იყო, დღეს, მკვდარი ქალაქია. ამერიკაში ასეთი გამონათქვამი არსებობდა – რაც არის კარგი „ჯენერალ მოტორსისთვის“, ის არის კარგი ამერიკისთვის და პირიქით. დღეს, ეს ანდაზა არ მუშაობს. თუმცა, აქ, არის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – ჩვენ, უნდა გავიგოთ რა ჯგუფებს წარმოადგენს ტრამპი და რა ჯგუფებს წარმოადგენდა კლინტონი. ტრამპის უკან იდგნენ – მისი დამფინანსებლები იყვნენ ზუსტად, შიდა ამერიკული საწარმო გიგანტები. კლინტონის დამფინანსებლები კი ტრანსნაციონალური საწარმო ორგანიზაციები იყვნენ. ამასაც მნიშვნელობა აქვს. ის, რომ ტრამპის

ლობა. გამორიცხულია, მომავალში მათი პოლიტიკური ინტერესები დაემთხვეს თუნდაც, ქურთების და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კავკასიის მიმართულებით. რუსეთი თურქეთს არასოდეს მისცემს საშუალებას კავკასიაში ისე მოიქცეს როგორც სურს. პრაქტიკულად, კავკასიის ერთ-ერთ სეგმენტში თურქეთი უზარმაზარ გავლენას ფლობს, ესაა აზერბაიჯანი. მაგრამ დღეს, რუსეთი ძალიან გაღიზიანებული უყურებს თურქეთის აქტიურობას აჭარაში და ფიქრობს, როგორ შეზღუდოს ეს აქტივობა. ერთი შეხედვით ვინ ეკითხება ხომ რუსეთს აჭარაში თურქები იქნებიან თუ არა, მაგრამ თურქული აქტივობა და გავლენის ზრდა აჭარაში, რუსეთისთვის მანიშნებელია, რომ ხვალ ეს გავლენები დასავლეთ-საქართველოს, შემ-

მიადწია იმას, რომ საქართველო არის რკალში. იმ შემთხვევაში თუ მომავალში საქართველოში ნატოს ჯარები განთავსდება, ალყაში ვიქნებით. რუსეთმა ამას უკვე მიაღწია. მაგრამ ეს არის მისი მაქსიმუმი, მას აღარ შეუძლია ჯარით შემოეარდეს და თბილისის ხელისუფლება დაამხო, ეს გამორიცხულია. ვხედავთ, რომ უკრაინაში მისი აგრესია სულს დაფავს. აქედან გამომდინარე, ის შეეცდება სტატუს-კვო შეინარჩუნოს. რუსეთისთვის სამხრეთ-კავკასიის დაკარგვა ნიშნავს იმას, რომ იგი მომავალში ჩრდილოეთ-კავკასიის დაკარგვას. ამერიკისთვის, დასავლეთისთვის სამხრეთ-კავკასიის დაკარგვა ნიშნავს იმას, რომ თურქეთ-რუსეთის საზღვარი აღდგება და შორეული პერსპექტივის თვალსაზრისით თურქეთიც დაკარგული

ქვეყანას, ხელისუფლებას შეუძლია შექმნას ფაქტი, მოახდინოს ინიციატივის დემონსტრირება, რომელიც დანარჩენ მსოფლიოს აიძულებს ამ ინიციატივას ყურადღება მიაქციოს ან ანგარიში გაუწიოს. ჯერჯერობით, ასეთი რამის მომსწრენი არ ვართ. რაც შეეხება რუსეთის აქტივობებს, საქართველოსთან მიმართებაში არ შეცვლილა, ოღონდ, უხეში ძალის პოლიტიკა დიდი ძალის პოლიტიკამ შეცვალა. ხდება ის, რომ რუსეთი ქართული პოლიტიკის შეგნით ძალიან აქტიურად მუშაობს, ოღონდ, არ მუშაობს იმ ხალხთან ვინც, აბსოლუტურად, პრორუსულია, უფრო სწორად, მათთან გარკვეულ პარტნიორულ ურთიერთობას ინარჩუნებს. რუსეთი იმ ხალხთან ურთიერთობს, ვინც გაღიზიანებულია

თამარ შველიძე 555 23 28 24

# ტროას სხენები ქართული პოლიტიკის თავლაში

ქართულ ტელევიზიებს რომ მიაყურადებ, შეიძლება იფიქრო, რომ ჯერ კიდევ არჩევნების წინა პერიოდი.

არადა, არჩევნები ორ თვეზე მეტია, რაც დამთავრდა, თუმცა, როგორც ჩანს, არ დამთავრებულა იგი „რუსთავე-2“-სთვის, არ დამთავრებულა ინგა გრიგოლისთვის და კიდევ სხვებისთვის, რომლებიც თავიანთ გადაცემებში ისეთ სურათს ხატავენ, თითქოს ქვეყნიერების დასასრული ახლოვდება და სადაცაა, უფსკრულში შთავინთქმებით.

ახალი ბატონის ძებნაშია, რომელიც „მიწას“ მისცემს, რომ თავი შეინახოს და გადარჩეს.

კარგია, რომ ხელისუფლება ზეწოლას არ ახდენს მედიაზე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „უმიწოდ“ გათავისუფლებული ეს მედია თავისუფალი და ბედნიერია.

საქართველო იმდენად პატარა ბაზარია, იმდენად პატარა სივრცეა, რომ წარმოუდგენელია, აქ რომელიმე მედიასაშუალებამ დამოუკიდებლად, ფინანსური მხარდაჭერის და დოტა-

ამის გაკეთება ვერც „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა და ქართული სახელმწიფოს ნამდვილ მტრებს, რომლებმაც გააჩანაგეს და გაავერანეს საქართველო, თავისი ნამდვილი სახელი ვერ უწოდა, ისე, როგორც ვერ უწოდა თავისი ნამდვილი სახელი ამ მტრების მომსახურე პერსონალს მედიიდან.

ჟურნალისტებად წოდებული ეს მომსახურე პერსონალი შევარდნაძე-საკაშვილის რეჟიმების მთავარ იდეოლოგიურ საყრდენს რომ წარმოადგენდნენ, დღეს სხვადასხვა სტრუქტურებში არიან მოკალათებულნი და ქართულ მედიაში „პალაჟენიას“ აყენებენ.

ხომ არ გეჩვენებათ, ბატონებო „ქართული ოცნებიდან“, რომ სწორედ ეს გახლავთ მიზეზთა მიზეზი იმისა, საქართველოს მოსახლეობამდე ცუდად, ფრაგმენტულად ან საერთოდ რომ არ მიდის ინფორმაცია იმ კარგი და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმეების შესახებ, „ქართული ოცნება“ რომ აკეთებს?

„ქართული ოცნების“ უმთავ-

შეუძლიათ ძალიან ბევრი რამ გააფუჭონ და თუ საზოგადოებაში მოარულ ხმებს დაუუჯერებთ, აფუჭებენ კიდევაც...

ეს ხდება არა მარტო მედიაში, არამედ ყველა დარგში, ყველა სფეროში — ძალოვან სტრუქტურებში, პროკურატურაში, სასამართლო სისტემაში, სამთავრობო სტრუქტურებში, მუნიციპალიტეტებში, აიპებსა თუ სიპებსში.

ამას დაეუმატოთ თავის დროზე „ქართულ ოცნებაში“ მსტოვრებად შეგზავნილები, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ „პლენში“ ჩარჩნენ და დღემდე იქ არიან.

რამდენად არიან სანდონი ეს ადამიანები მაშინ, როცა მათი დიდი ნაწილი სხვადასხვა სახის კომპრომატებით საიმედოდ ჰყავს გამოჭერილი და „დავერბოვეს“ წინა ხელისუფლებას და გადამწვევტ მომენტში იძულებულნი იქნებიან, ის გააკეთონ, რასაც ძველი პატრონები უბრძანებენ.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც არავინ აქცევს ყურადღებას.

გადმოპოვებული უღებებს, ცხადია, არ უყვართ ის ადამიანები, რომლებიც „ქართულ ოცნებას“ უჭერდნენ მხარს და, გამომდინარე აქედან, თავის დროზე მათ უპირისპირდებოდნენ.

ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, თუ გადმოპოვებული უღებები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების შევიწროებას შეეცდებიან და თავისწინაობებს გაუხსნიან გზას.

2016 წლის არჩევნებში ერთ-ერთ რეგიონში, სადაც ერთმანეთს „ოცნებაში“ გადმოპოვ-

მისო ბრძოლა გამოუცხადა ნაცებს და მათ ფავორიტს.

„ქართული ოცნების“ შეწუხებულმა და შემფოთებულმა კანდიდატმა „მოწინააღმდეგეს“ მოუბოდიშა: — არ გვეგონოს, ჩემგან მოდიოდეს ეს აგრესია. გიჟია ეს შობელძაღლი და არ ჩერდება, თორემ მე და შენ სამტრო და საჭიდაო რა გვაქვს? ბოლოსდაბოლოს, ნათელ-მბრონი არ ვართო?

„ნაცი“ დამარცხდა, მაგრამ გული დიდად არ დაწყვეტია — მისი ნათელ-მბრონი და მეგობარი ხომ შევიდა პარლამენტში? სამაგიეროდ, „ოცნების“ „იდეინი“ მხარდამჭერს ეტირა ყოფა — არჩევნების შემდეგ ისე შეავიწროვეს და ისე მოტეხეს ყველაფრიდან, კაცი დეპრესიაში ჩავარდა.

ძალიან ცდებით, თუ გგონიათ, რომ მხოლოდ ერთ რეგიონში, ერთ საარჩევნო ოლქში ხდებოდა მსგავსი რამ.

„ქართული ოცნების“ ბანაკში ტროას ცხენის უსაშველოდ დიდი მოცულობის მუცლით „ქართული ოცნების“ იმდენი მტერია შეპარული, მათ თუ მოინდომეს, ძალიან სერიოზულ დარტყმას მიაყენებენ კონკრეტულად „ქართულ ოცნებას“ და, ზოგადად, ქართულ სახელმწიფოს.

„შეპარულებს“ შებრძანებულ-მოპატივებულთა მრავალი ცხოვრება დესანტს თუ დაუკმატებთ, არ არის გამორიცხული, ის, რასაც „ქართული ოცნება“ ჰქვია, „ქართულ ოცნებაშივე“ უმცირესობაში აღმოჩნდეს...

ამასობაში „დიდი პროფესიონალი“ ინგა გრიგოლი კვლავ წინასაარჩევნო რეჟიმში აგრძელებს მუშაობას და ისედაც შემიწებულ მოსახლეობას კიდევ უფრო ზაფრავს.

წინასაარჩევნო რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას „რუსთავე-2“-ც და სხვა ტელევიზიებიც — აქაოდა, არაფერი შეგვეტყოს, ჩვენც ხომ თავისუფალი მედია გვქვია და გვარამიებს და გაბუნებებს რატომ უნდა ჩამოვრჩეთო?

მართალია, არჩევნები კი დამთავრდა, მაგრამ მათთვის არა — ისინი, ტროას ცხენის ბინადრებთან ერთად, მათთან მჭიდრო კავშირში და კოორდინაციაში, სხვა „არჩევანისთვის“ ამზადებენ ქვეყანას და თუ ასე გაგრძელდა, საწადელსაც მიადწვევენ.

არ გჯერათ? კი, ბატონო, არ დაიჯეროთ, ნება თქვენია, თუმცა ეს წერილი მაინც შეინახეთ — რა იცით, რა ხდება...

ქართული პოლიტიკის თავლაში ერთი კი არა ბევრი „ტროას ცხენი“ „ჭიხინებს“...

გიორგი ბაგაჩაძე



შიში, პანიკა, სასოწარკვეთილება — აი, რას თესვენ მოსახლეობაში ქართული მედიის ზოგიერთი წარმომადგენლები.

მართალია, „ქართული ოცნება“ კი გვარწმუნებს, რომ მედია აბსოლუტურად თავისუფალია, მაგრამ ამ აბსოლუტურად თავისუფალ მედიას ვილაცის უჩინარი ხელი რომ მართავს, ცხადია და ისიც ცხადია, რომ ეს უჩინარი ხელი ხელისუფლების არ არის.

თუ ეს ასეა და აღებ-მიცემობაში გაგარჯიმებულ ქართულ მედიას ხელისუფლება არა, მაგრამ რაღაც სხვა ძალა მართავს, რანაირად შეიძლება მედიის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ვილაპარაკოთ?

რა მნიშვნელობა აქვს, კონკრეტულად ვინ მართავს და ვინ აკონტროლებს მედიას, პრობლემა ისაა, რომ ასეთი მედია თავისუფალი არ არის.

ასე რომ, არა მგონია, ხელისუფლებისთვის მაინცდამაინც დიდად თავმოსაწონებელი იყოს ის ამბავი, ეს მისგან გათავისუფლებული მედია სხვას რომ უზის ხასად და მის განმათავისუფლებელს კაპასი ხმით რომ უკვივს.

მედიის თავისუფლებაზე რომ ვლაპარაკობთ, უნებლიეთ ბატონყმობის გაუქმების საკითხი, შეიძლება გაგახსენდეს, როცა დიდი ბჭობა და კამათი გაიმართა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გაეთავისუფლებინათ ყმები — მიწიანად თუ უმიწოდ?

„უმიწოდ“ გათავისუფლებული ქართული მედია სულ



ციის გარეშე არსებობა შეძლოს. სიმართლე ეს არის და სჯობს, ამ სიმართლეს თვალის გაუხსნოთ და გამოსავალის ძებნაც ამის მიხედვით დავიწყოთ, ვიდრე მედიის არარსებულ თავისუფლებას ვილაპარაკოთ.

გამოსავალი კი მრავალგვარი და მრავალნაირია, უბრალოდ, ამაზე დაფიქრება და თავის შეწუხებაა საჭირო.

სირცხვილია, როდესაც „რუსთავე-2“ თავისუფალი მედიის ფლაგმანად, ქართული დემოკრატიის მთავარ მამომრავებელ ძალად და სიტყვის თავისუფლების გარანტად ცხადდება და, იცით, რატომ ხდება ასე? — საგნებს და მოვლენებს თავისი ნამდვილი სახელი რომ არ ჰქვიათ, იმიტომ!

სამწუხაროდ, დღემდე არ შეფასებულა, რა მოხდა და რა ხდებოდა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან თუნდაც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე.



რეს შეცდომად ის მიმაჩნია, რომ ის ზედმეტად ენდობა წინა ხელისუფლებიდან თუ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციებიდან გადმოპოვებული სუბიექტებს და ისეთ საკვანძო სფეროებს ანდობს მათ, საიდანაც ამ სუბიექტებმა, თუ მოინდომეს,

ტირებული ყოფილი ნაცი და „ნაციმობრობის“ კანდიდატი „დაუპირისპირდნენ“, რომლებიც „წინა ცხოვრებაში“ ერთმანეთის ნათელ-მბრონები იყვნენ, „ქართული ოცნების“ ერთმა თავგამოდებულმა მომხრემ, საარჩევნო შტაბიდან, უკომპრო-

# მალხაზ ბასილია: თუ სახელმწიფო უწყების თანამშრომლების მიერ ჟურნალისტის ცემა მოხდა, მითხრან და გავჩუქდები!

გვესაუბრება ჟურნალისტი მალხაზ ბასილია

— მალხაზ, სანამ საუბარს დაიწყო, თქვენ მითხარით, ისეთ ამბებს მოგიყვებით, დაუჯერებლად მოგეჩვენებათ. მოგიყვებით ეს „დაუჯერებელი“ ამბები.

— მოდით, ვისაც არ ვახსოვარ და ვისაც არ უნდა, რომ ვახსოვდე, გავახსენებ: 20 წელიწადია ჟურნალისტი ვარ, სხვადასხვა დროს ვმუშაობდი სხვადასხვა მედიასამსახურებში. I არხზე — საზოგადოებრივ მაუწყებელში, მანამდე ტელეკომპანია „მზემი“, მერე საინფორმაციო სააგენტო „SMO-ნიუსი“ შევქმენი და ახლა მისი მთავარი რედაქტორი გახლავარ.

წლების წინ რეპორტაჟის გაკეთების დროს აფხაზეთის ტერიტორიაზე დამიჭირეს და 10 დღის განმავლობაში სოხუმის იზოლატორში ვიყავი. მაგრამ თავიდან დაიწყო: ამბავი, რომელიც უნდა მოგიყვებო, 2008

ბჭაში ცხოვრობდნენ, სოხუმთან ახლოს.

ენგურის ხიდან შემოგვხვდა მათი აფხაზი ნათესავი და წავედით. ოჩამჩირე-გალის საზღვართან, ერთ-ერთ საგუშაგო პოსტზე დაგვხვდა გალის მანინდელი კონტრდაზვერვის უფროსი მლიპ მშიზაძე და გალის მილიციის უფროსი ლაშქრანს კოლმონია, მილიციის თანამშრომლებთან ერთად.

ემიზაძემ თავი შემოყო მანქანაში და გვითხრა: აქ ჟურნალისტი ზის, მოდის სიუჟეტის გადასაღებად, თქვენ უკანონოდ გადმოკვეთეთ საზღვარი და დაპატიმრებული ხართ. გადმოგვიყვანეს მანქანიდან და წავიყვანეს გალის მილიციაში. იქ, დაახლოებით, საღამომდე ვიკითხებოდით, შემდეგ გადაგიყვანეს სოხუმის იზოლატორში.

ეს ისტორია ბევრგან დაიწერა და შეიძლება, ვინმესთვის ახალი არ იყოს, მაგრამ ამ ამბავს ახლავს უჩვეულო ნიუან-

ებულ პირობებს. ესენი გახლავან რომა შამათაძე და მისი მეგობარი, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტი ემა გოგონია.

— რატომ გგონიათ, რომ ემა გოგონია დაგაბრკოლებდათ. რა ინტერესი შეიძლება მათ ჰქონოდათ?

— ჩემო კარგო, საკითხავი სწორედ ეს არის. ჩემი აზრით, მათ არ აწყობდათ, მე აფხაზეთიდან სიუჟეტი გამეკეთებინა.

რომა შამათაძე დღეს სამსახურებრივი მოვალეობის უხეშად დარღვევისა და ძალაუფლების გამოყენებისთვის სასჯელს იხდის მატროსოვის ციხეში. ის მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ემიზაძესთან და ჰქონდათ ერთობლივი კონტრაბანდა. სწორედ მათი ხელშეწყობით მოედინებოდა ენგურის ხიდან კონტრაბანდული საქონელი — საკვები პროდუქტები, სიგარეტი, ბენზინი, ნარკოტიკები და ა.შ. ყველაფერი, რაც კი შეიძლება აფხაზეთიდან გადმოზიდულიყო.

მე გამათავისუფლეს საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევის შედეგად 2008 წლის 6 მარტს.

ცოტა ხანში აფხაზეთის კულის სამსახურის უფროსმა რომა შამათაძემ დამიბარა. დაახლოებით 40 წუთი ვიყავი მასთან. რომა შამათაძემ დასაწყისში გამომიკითხა, როგორ მექცეოდნენ სოხუმის იზოლატორში. შემდეგ მითხრა: ინფორმაცია, რომ შენ გადადიოდი აფხაზეთში, ზუგდიდიდან მიაწოდეს აფხაზურ მხარეს და ამის გადამცემი ჟურნალისტი ნატო ბმრუაძე იყო. ნატო, იმხანად, I არხის ჟურნალისტი იყო. ნატო ჩემი მეგობარია. მან არაფერი იცოდა, ვინც იცოდა, ეს იყო ემა გოგონია.

შამათაძესთან სხვა საუბარი არ ყოფილა.

მას ჩემზე არავითარი ზეწოლა არ განუხორციელებია.

რამდენიმე დღის შემდეგ შეხვედრა მთხოვა თვითონ ემა გოგონიამ...

გავიდა რამდენიმე თვე. დადგა ზაფხული. დაიწყო ომი აფხაზეთში. მე და დედაჩემი წავედით ზობში, სოფელ ხეთაში, მამაჩემის ნათესავის მზია მირგალიას ოჯახში. საღამო ხანს მზია მირგალიას სახლს მოადგნენ შეიარაღებული პირები ორი მანქანით და მიკითხეს მე. იმხანად რადიო „ფორტუნაში“ ვმუშაობდი. მომსვლელებმა თქვეს: ბასილიას პროფესიული საქმიანობის გამო ვართ მოსული, გამოვიდესო. წამიყვანეს და 9 კაცმა სასტიკად მცემთ. ამის შესახებ ჟურნალისტმა ნანა შამაძემ დაწერა და ცნობილია ეს ამბავი.

მამის სიკვდილს ძლივს გადავურჩი.

გადავწყვიტე, ეს ამბავი ასე არ დამეტოვებინა და ყველაფერი



პრეზიდენტი სააკაშვილისთვის მეთქვა. მაშინ კიდევ მეგონა, რომ მიშა მართლა ქვეყნის გულშემატკივარი იყო. დაწერე წერილი, სადაც დეტალურად აღწერე ყველაფერი, როგორ ვიბლოკებოდი ყველა სამსახურში. ჟურნალისტმა ლაშა ბერულავამ მითხრა ერთხელ: სანამ სააკაშვილის ხელისუფლება იქნება, შენ ჟურნალისტობას ვერ ეღირსებო.

— წერილს რა უყავით, გადაეცით სააკაშვილს?

— ერთ დღეს გავიგე, რომ სააკაშვილი განმუხურში უნდა ჩამოსულიყო. მოვიდა პრეზიდენტის ესკორტი და ის იყო, ხმა-მალა დავიძახე: პრეზიდენტო, თქვენთვის წერილი მაქვს გამოსაცემი-მეთქი, რომ პირზე ხელი ამაფარეს სააკაშვილის დაცვის წევრებმაც და სხვებმაც და ტერიტორიას მომამორეს.

— ცემის ფაქტზე არ განიცხადებთ პოლიციაში?

— ხობის პოლიციას მივმართე. ზუგდიდის პროკურატურაშიც შევიტანე განცხადება, მაგრამ როგორც თქვენ არ გამოვიძიებთ არაფერი, ისე იმათ.

2012 წელს ხელახლა შევიტანე სარჩელი პირადად თბა ჟურნალისტის სახელზე, სამწუხაროდ, პროკურატურის პასუხიც თვა წულუკიანის პრესსამსახურის უფროსს მანია მსხილამის გადავეცი. მეორე დღესვე დამირეკეს პოლიციიდან და განმეორებთ ჩვენება მთხოვეს. მივეცი ჩვენება, მაგრამ კვლავ თაროზე შემოიღო ჩემი საქმე.

ახლა თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო შინაგან საქმეთა მინისტრს, მთავარ პროკურატორს: კიდევ ერთხელ მოგმართავთ და მაქვს თქვენი იმედი, რომ გამოიძიებენ ჩემს საქმეს. ეს არ არის რეალური მოქალაქის გატაცების და ცემის ფაქტი. მე ვიყავი მოქმედი ჟურნალისტი.

დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. ჟურნალისტს სახელმწიფო უწყების წარმომადგენლები არ უნდა იტაცებდნენ და სასტიკად არ უნდა სცემდნენ. თუ ეს ნორმაა, მაშინ მე გაეჩუქდები და აღარაფერს ვიტყვი.

იცით თუ არა თქვენ, რომ სანდრა რულოვსკი ხშირად არის ზუგდიდში და მას მანქანაში გვერდით უზის ემა გოგონია? ამის დამადასტურებლად ჩემს მიერ გადაღებულ ფოტოებსაც წარმოგიდგინებ.

იმედი მაქვს, ქვეყანა ჩალით არ არის დაზურული. ჩემი ხმა მისწვდება სათანადო ორგანოებს და გამოიძიებენ ჩემი უდანაშაულოდ ცემის და შევიწროების ფაქტებს.

მალხაზ ბასილიას ბრალდებებთან დაკავშირებით ჩვენ ჟურნალისტ მზა გომოხიანს დაუეკავშირდით:

— გამარჯობა, ემა, მე ვარ „საერთო გაზეთი“ ჟურნალისტი ირანდა კალანდაძე.

— რა ხდება?

— რამდენიმე შეკითხვა მაქვს.

— გზაში ვარ და კარგად არ მესმის, მითხარით, რა გნებავთ.

— მე ვესაუბრე ჟურნალისტ მალხაზ ბასილიას, რომელიც ინტერვიუში რამდენიმე ადგილას თქვენ გახსენებთ...

— ეს ადამიანი არის სირცხვილი. სირცხვილის ყველა კრიტიკიუმს აჭარბებს, სირცხვილია მისი ხსენებაც კი ჩემი მხრიდან და ამით დავამთავრებ საუბარს.

ჩვენ ჟურნალისტ ნატო ბმრუაძესაც დაუეკავშირდით, მაგრამ მან კომენტარისგან თავი შეიკავა...

ირანდა კალანდაძე 593 56 11 18



წლის 26 თებერვალს მოხდა. აფხაზეთში თანმხლებ პირებთან ერთად წავედი. მაშინ აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ტარდებოდა და ამ თემამე მინდოდა სიუჟეტის გაკეთება.

— ვინ იყვნენ თქვენი თანმხლები პირები?

— მაია დანელია და დავით ჟოჟორია მახლდნენ. ისინი ჩემი ნათესავებიც არიან. მაია და დავით აფხაზეთიდან არიან, ოჩამჩირის რაიონის სოფელ აჯ-

სები, რომლის შესახებაც თქვენ ექსკლუზიურად გაამბობთ.

— ბრძანეთ.

— ამის დამტკიცებას ვერ შევძლებ, თუმცა გეტყვით, რომ ზუგდიდში დაბრუნების შემდეგ გავიგე და არსებობს ფაქტები, რომლებსაც მე კი არა, პროკურატურაც ვერ უმტკიცებს წინა ხელისუფლების ყაჩაღებს, მაგრამ, როგორც გამოვიკვლიე, ჩემი დაკავების ინტერესი ჰქონდა აფხაზეთის კულის მანინდელ უფროსს და მასთან დაახლო-

# გიორგი ჭინჭარაული: თუ ასე გაგრძელდა, ვალუტის გადახედვების გამო, დაგვისევიან კრედიტორები და ნაგვულიან პოლიტიკური რუკიდან

ჩვენი დღევანდელი სტუმარია ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ჭინჭარაული

- ბატონო გიორგი, გასული საუკუნის 90-ან წლებში საქართველო იყო „გენერლების ქვეყანა“, ხოლო „ნულოვან“ წლებში სამშობლო გადაგვექცა „ექსპერტების ქვეყნად“. გენერლების სიუხვის მიუხედავად, ჩვენ ვვლავ წარმოებული იმი წავაგეთ; ასევე, სხვადასხვა დარგის ექსპერტთა სიჭარბემაც გამარჯვებები ვერ მოგვითქვამს ვერც ეკონომიკაში და ვერც კულტურაში. თქვენ აზრით, რატომ?

- მე ეკონომისტი ვარ და ჩემს სფეროზე გესაუბრებით. უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, საქართველოს ეკონომიკა დაფუძნებულია, სხვა სიტყვას ვერ ვებოლო, უმეტესად სიბრტყეზე. ეს იმით არის გამოწვეული, რომ არასპეციალისტები ეკონომისტებად არიან მიჩნეულნი. ფსევდო-პროფესორებით და „ფიტულა“ აკადემიკოსებით გაივსო მეცნიერების სფერო. ბევრ მათგანზე ვერ გაიგებ,

გადაუხედლობის გამო, წაგვშლიან პოლიტიკური რუკიდან.

- გამოდის, დეფოლტი გარდუვალი იქნება?

- დიახ, დეფოლტი კანონზომიერი იქნება, რასაც ადასტურებს ის ვითარებაც, რომ ლარის ინფლაცია ყოველწლიურად მატულობს. მაგალითად, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში (2010-2016წწ.) საშუალოსთან შედარებით, ლარის ინფლაცია 16,2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ლარის ვალუტად მიღებიდან დღემდე, დოლართან მიმართებაში, ლარი 50 პროცენტით გაუფასურდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში საპენსიო ასაკის მოსახლეობის რიცხვი ორჯერ აღემატება გაეროს სტანდარტებს, ბუნებრივი მატება კი სისტემატურად მცირდება, ასეთი მდგომარეობა, ჩვენი თანამემამულეების დაუსაქმებლობის პირობებში, მუდმივი ინფლაციის წყაროა და მომავალში ქართული წარმოების მოსპობის საწინდარიც.

დღევანდელი სამამულო წარმოება არანაყოფიერებდა დაბალ დონე-

სავალი 2 ათას ლარს არ აღემატება. ასეთი მდგომარეობა არა მხოლოდ ხელს უწყობს მოთხოვნის ინფლაციის წარმოშობას, არამედ ალატაკებს მოსახლეობას იმ დროსაც კი, როცა ინფლაცია არ არის. ვინაიდან სახელმწიფო მოხელეების შზარდი დიდი ხელფასები მოთხოვნას ზრდის, რაც თანაბარ პირობებში იწვევს ფასების აწევას, ეს უარყოფითად მოქმედებს მცირემშობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო, პოლიტიკური თუ სხვა ორგანიზაციების მუდმივად შზარდი დაფინანსება ინფლაციის მნიშვნელოვანი წყაროა. კერძოდ, კვალიფიკაციური პოლიტიკური პარტიების ყოველწლიური შზარდი დაფინანსება 7 მილიონ ლარზე მეტია; 30 მილიონ ლარზე მეტს იღებენ სახელმწიფოსგან რელიგიური კონფესიები, ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით კი იხარჯება 14 მილიონ 800 ათასი ლარი და ა.შ. ჩემი აზრით, ეს ისეთი და იმ ზომის ზარჯია, რომ სამამულო წარმოების არსებულ არასახარბიელო პირობებში ის მინიმუმზე უნდა იყოს დაფინანსებული, ან, საერთოდ, ასეთი ზარჯი დროებით შეწყვეტილი იქნას.

- საქართველოში არჩევნებთან დაკავშირებით, თითქმის ყოველთვის ლარი უფასურდება. რითია ეს გამოწვეული?

- გამოწვეულია მოთხოვნის ზრდით. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საარჩევნო კამპანიებზე დიდი ფული იხარჯება. ამა წლის საპარლამენტო არჩევნებზე პარტიებმა ოფიციალურად დახარჯეს 40 მილიონი ლარი, არაოფიციალურად კი, ვინ იცის რამდენი! ამას, კიდევ, მიუმატოდ მაჟორიტარი კანდიდატების მიერ გაწეული ზარჯები... გამოდის, რომ ასეთი ფორმით ჩატარებული არჩევნები მოთხოვნას ზრდის, რაც მოსახლეობის ინტერესებს ეწინააღმდეგება. იქნება ინფლაციური სპირალი და „ზრუტუნას“ ეფექტი, რომელსაც საზოგადოების დიდი ნაწილი ვერც კი ათვისებდა. შემდგომში ეს იწვევს ხალხის შემოსავლების შემცირებას იმაზე მეტად, ვიდრე, რა



რაოდენობის ფულიც იქნა დახარჯული არჩევნებისთვის.

- გადასახადებზე რას იტყვით?

- კანონმდებლობით მთელ რიგ უწყებებს უფლება აქვთ დაადგინონ მათთვის სასურველი გადასახადები და მათი განაკვეთები. მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უამრავი გადასახადი (მოსაკრებელი) დაადგინა, რა თქმა უნდა, ღირებულების კანონის მოთხოვნითა დარღვევით, კერძოდ, მომსახურებისთვის - 500 ლარი, ავტორიზაციაზე - 12 ათასი ლარი, აკრედიტაციაზე - 20 ათასი ლარი და უამრავი სხვა. ამ გზით მიღებული შემოსავლები ამავე ცენტრის ინტერესებს ხმარდება, რითაც მიმოქცევაში დამატებითი ფულის ჩართვა ხდება, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ინფლაციას.

ლარის გაუფასურებას ხელს უწყობს საქართველოში გამეფებული ფიზიკური და იურიდიული პირების ორმაგი დაბეგვრა. სახელმწიფო ინსტიტუტები უშუალოდ, ან მათთან ხელშეკრულებით მყოფი კერძო ფირმების საშუალებით, უმნიშვნელო მომსახურებაზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ახდენენ უადრესად დიდ გადასახადებს, რაც ღირებულების კანონის დარღვევაა.

საქართველოს კანონმდებლობის „წყალობით“, ამგვარი უმსგავსოებები უამრავია და მათი, ანუ ბიუროკრატიული მოთხოვნების

არსებობის აუცილებლობა არაფრით არის გამართლებული. თუ ამ „მოთხოვნებზე“ გავწეულ დაუსაბუთებელ ზარჯებს შევკრებთ, უზარმაზარ თანხას მივიღებთ! წვეთებისგან იქმნება ოკეანები, კაპიკებისგან კი მილიარდები. ამას კანონმდებლები ვერ ათვისებდნენ, ან თუ ათვისებდნენ, მაშინ ხალხის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, ვინაიდან სამამულო წარმოების განვითარებას ძირს უთხრიან, რაც ინფლაციის წარმოშობის მთავარი მიზეზია.

- ბატონო გიორგი, ჩვენ ქვეყანაში ინფლაციის ზრდაზე რამდენად მოქმედებს უცხო ფაქტორები?

- სახელმწიფოში, რომელშიც 80 პროცენტზე მეტი არასამამულო პროდუქტი მოიხმარება, რომელსაც დაკარგული აქვს ეკონომიკური დამოუკიდებლობა და უსაფრთხოება და სადაც მიმოქცევაში 75 პროცენტით მონაწილეობს უცხოური ვალუტა, ბუნებრივია, ამ სახელმწიფოზე უარყოფითად მოქმედებს ნებისმიერ ქვეყანაში, რომელთანაც მას შეხება აქვს, არსებული ეკონომიკური თუ პოლიტიკური კრიზისები. ასეთი ვითარება შესაძლოა შეგნებულადაც იყოს გამოყენებული საქართველოში უმუშევრობისა და ინფლაციის წარმოშობის მიზნით, რომელიც ანგრევს ისედაც უსუსურ ეკონომიკას. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენთან გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ უცხოურ ბანკებს.

ინფლაციის წარმოშობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უცხოურ ვალუტაზე ლარის დიდი რაოდენობით გადაცვლა, უცხო ვალუტებით ანგარიშსწორება და დეპოზიტების (ბანკში შენატანი) ზრდა, რაც უკიდურესად ზღუდავს ლარის გადახდისა და დაგროვების ფუნქციას.

როგორც ხედავთ, ინფლაციაზე თითქმის ყველა ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს, რაც იმის დასტურია, რომ საქართველოს ეკონომიკის მართვაში მთლიანად თუ არა, ნაწილობრივად მაინც გაბატონებულია უმეცრეობა, რაც დროულად უნდა აღმოვფხვრათ ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულობის შენარჩუნებისთვის!



რისი სპეციალისტია - განათლებას იღებენ ერთი სპეციალობით, მეცნიერების ხარისხს იცავენ სხვა სპეციალობაში, კონსულტაციებს ეწვევიან ან თანამდებობას იკავებენ სულ სხვა სპეციალობაში და ა.შ. ანუ, ემსგავსებიან შინაურ ბატს, რომელმაც ფრენაც იცის, ცურვაც, სირბილიც, ყვირიც, მაგრამ ხეირიანად არ იცის არცერთი... რაიმე გარე ძალის არაკეთილმოსურნეობას თუ გამოერიცხავთ, ასეთი სპეციალისტებით და მათი კონსულტაციებით რეგულირებული საქართველოს ეკონომიკა დეფოლტისკენ (ბანკროტობა) მიექანება. დიდი დონის ინფლაცია დროთა განმავლობაში ქრონიკულ ხასიათს იღებს. ჯერჯერობით პიპერინფლაციის წარმოშობას ხელს უშლის წარსულიდან გადმოყოლილი სახელმწიფო ქონების გაყიდვით და საზღვარგარეთიდან გზავნილებით უზრუნველყოფილი ლარის კურსი. ამ მიმართულებით რაიმე თუ არ შეიცვალა, მოვა დრო და საქართველო, როგორც სახელმწიფო, აღარ იარსებებს, თუნდაც იმიტომ, რომ გასაყიდი აღარაფერი გვექნება. შედეგად, დაგვეყვინ კრედიტორები და, ვალების

ზეა და ეს გახლავს საქართველოში ინფლაციის ძირითადი მიზეზი. ასევე, ლარის ინფლაციას, თანაც ფარულს, ხელს უწყობს ქვეყანაში არსებული დოლარიზაციის 66,7 პროცენტის არსებობა, რაც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში პარადოქსია!

ინფლაციის წარმოშობის მიზეზს, როცა ლარის უზრუნველყოფა არ ხდება სათანადო რაოდენობის პროდუქტებით, წარმოადგენს მოთხოვნა. მოთხოვნის ინფლაციის მიხედვით, საზოგადოება ხარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე თავად აწარმოებს. ასეთ შემთხვევაში დამატებითი ხარჯების ასანაზღაურებლად ფასების საშუალო დონე იზრდება, რაც ინფლაციას ნიშნავს.

განსაკუთრებით ყურადსაღებია სახელმწიფო სექტორში მუდმივად შზარდი შრომის ანაზღაურების ისედაც მაღალი დონე. მაგალითად, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელფასი 300 ათასი ლარია, მინისტრების ხელფასები, საშუალოდ, 70 ათასია, პარლამენტარების - 60 ათასი და ა.შ., და ეს მაშინ, როცა მოსახლეობის უმეტესობას წლიური შემო-







# მა გოგონას რაღა, პირის თავ-ფახი?!

ტრანსგენდერ ქალთა ცენტრს ააიპ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სააგენტომ თეთრინყაროს რაიონის სოფელ ასურეთში მდებარე 400 კვადრატული მეტრის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა უსასყიდლოდ გადასცა. როგორც ითქვა, ქონება ტრანსგენდერი ქალების შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამების ფარგლებში იქნება გამოყენებული.

ბუნებრივია, საზოგადოების დიდი უმრავლესობისთვის აღმაშფოთებელი აღმოჩნდა ამგვარი „საჩუქარი“ პირთა იმ ჯგუფისთვის, რომელსაც არანაირი დამსახურება არ მიუძღვის ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ეს ხდება იმ ფონზე, როცა უამრავ ადამიანს სასიცოცხლოდ სჭირდება ჭერი, მათ შორის მრავალშვილიან ოჯახებს; იმ ფონზე, როცა ომის ვეტერანებს, რომლებმაც სისხლი დაღვარეს სამშობლოსთვის, დღემდე უარს ეუბნებიან მსგავსი ტიპის ქონების გადაცემაზე... ჩუქება კი არა, მესამე წელი დაიწვება, რაც მამა-პაპისეულ ქონებას არ მირევისტრირებს საჯარო რეესტრის მარტვილის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რაც

ამავე დროს, სახელმწიფო ევროსაბჭოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის წევრია, ესაა 2010 წლის რეკომენდაცია, რომელიც კონკრეტულად და სპეციფიკურად ლგბტ ადამიანებს ეხება. სახელმწიფომ და იმდროინდელმა ხელისუფლებამ მასზე ხელმოწერით აიღო ვალდებულება, რომ გაატაროს და განახორციელოს ის მექანიზმები, რომლებიც ლგბტ ადამიანების უფლებების დასაცავად საჭიროა. დღეისათვის ლგბტ ადამიანების უფლებებზე მუშაობენ: „ლგბტ საქართველო“, „იდენტობა“, „თემიდა“ და „ქალთა ინიციატივების მხარდაჭერი ჯგუფი“.

ქალბატონი ჯალაღონია ამზოგად რომ ვთქვათ, ხომ ცხადზე უცხადესია, რომ ეწლებზე-სპექტრში „ლესოსელების“ გარდა ყველა დანარჩენი, ფაქტობრივად, ერთი სახელის ქვეშ ერთიანდება, ეს არის „პედერასტია“ — „ბიჭების სიყვარული“, სქესობრივი გარყვნილება — სქესობრივი კავშირი მამაკაცებს შორის, მამათმავლობა (უცხო სიტყვათა ლექსიკონი). ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულია შესაბამისი მუხლები, რომელიც ეხებოდა აქტიურ და პასიურ მამათმავლობას, მივიღეთ ხელოვნურად შექმნილი ტრედი დასახელების სპექტრი. მთელი რაგინაშრომებია იმის შესახებ, რა სახის მცდელობებია ზუსტი ტერმინების ეტაპობრივად გადასხ-



თვით სახელმწიფოს გაუფრთხილებლობით მოხდა (მარტვილის რაიონის არქივი დაიწვა) და უკვე შუა კიდეც დანაშაული, სხვამ მიითვისა უკანონოდ, დღემდე სასამართლოსა და პროკურატურას შუაში ვარ გამოკიდებული. 2014 წელს საქართველოს პარლამენტმა საერო საზოგადოებისა და სამღვდელთა პროტესტის ფონზე ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო, რითიც სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გენდერული გამოხატვა მიუთითა. შესაბამისად, როგორც „ნიუს. ვითუბს“ EMC-ს იურისტი და კვლევის ავტორი, ლიკა ჯალაღონია აღნიშნავს, ახლა ეს შედეგი გვაქვს — კანონმდებლობა ზარეზიანია, მაგრამ არა იმდენად ცუდი, რომ მისი იმპლემენტაცია ვერ მოხერხდეს. თუ მაინც გაუგებარია, მცირედით კიდეც განვავრცოთ — სახელმწიფოს ვალდებულება აქვს აღებული გაერო-სა და ევროსაბჭოს დოკუმენტებთან მიმართებაში. სახელმწიფომ, ვინაობაერალიზაციის პროცესში ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარების კუთხითაც აიღო ვალდებულება.

ბობს, რომ „იდენტობაში“ იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ტრანსგენდერ და ქროსდრესერ (ქროს-დრესერი — მამაკაცი ქალის სამოსითა და ქალისთვის დამახასიათებელი მაკიაჟით, რომელსაც შესაძლოა სრულებით არ აწუხებდეს საკუთარი სქესი) ადამიანს, რომელიც სექსსამსახურში იყო, ხელი შეუწევს ევლოთ ტრენინგებზე, შეხვედრებზე, დისკუსიებზე და საბოლოოდ, სტაჟიორებად აიყვანეს. ქალბატონი წუხს, რომ მათი დასაქმება უფრო კეთილ ნებაზე დამოკიდებული, რადგან ძალიან ცოტაა დონორი, რომელიც ვინმეს დასაქმებაში ფულს გაიღებს, მითუფრო სექსუალური, რადგან მათ უფრო მძიმე დებარესიული ფონი აქვთ გამოვლილი და მათთან კომუნიკაცია შესაძლოა, რთული იყოს. იქვე, ტრანსგენდერ ზიზის გარდაცვალების ახსენებს, სახელმწიფომ სათანადოდ არ გამოიძია, რადგან აქ ნამდვილად შეიძლება ყოფილიყო ტრანსფობიური მოტივი და სიმულევილით მოტივირებული ნებისმიერი დანაშაულის გამოკვეთას სერიოზული ძალისხმევა სჭირდებაო. როგორც ჩანს, ქალბატონი არ იცნობდა ზიზის...

ვაფერებისა და ახალი სახით დამკვიდრებისა, თუმცა რაგინდ შემოვლითი გზებით ეცადონ მრავალნი ამ ცნების ლამაზად შეფუთვისა და კანონების შემოტანას, რომ დასჯადი გახდეს იმ სიტყვით მიმართვა, რასაც პირი წარმოადგენს, ადამიანების შე-

Подготовка событий




მეცნებისთვის უმედეგო ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სახელმწიფო ყველა დროში ხშირად მანიპულირებს, „უცეცხლოდ კვამლი მაინც არ ჩნდება“, ამდენად, გავიხსენოთ ზოგი რამ წარსულიდან, შევუდაროთ დღევანდელობას და იქნებ, რაღაც განათდეს კიდეც კონკრეტულ თავებში...

1933 წლის 15 სექტემბერს ჰენრიხ იაგოდამ სტალინს აცნობა, რომ ლენინგრადში აღმოაჩინა „პედერასტების საზოგადოება“. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ გამოავლინა რამდენიმე პედერასტების დაჯგუფება, რომლებმაც შექმნეს სალონების ქსელი, თავშესაფარი და სხვა ორგანიზებული ფორმირებები იმისთვის, რომ მომავალში ეს გაერთიანებები გადაქცეულიყვნენ ჯაშუშურ ბუდედ. საქმეზე დააკავეს 130 ადამიანი. ამ დღის შემდეგ ერთნაირსქესიანთა სიყვარული საბჭოთა კავშირში რეპრესიების ქვეშ მოკვდა.

იაგოდას განმარტებით, სწორედ „ჩაკეტულობა“ ეხმარებოდა პედერასტებს კონსპირაციულობის შენარჩუნებაში იმისათვის, რომ განხორციელებინათ კონტრევილუციური ქმედებები. ამასთანავე, მათი მიზანი იყო გადარბილებისათვის ახალი თაობა. მშობრულ ახალგაზრდებს ითრევდნენ „ციხფერი ოცნებებით“ თავისუფლებასზე ყოველგვარი კანონის გვერდის ავლით, შემდეგ კი პოლიტიკურად ხრწნიდნენ მათ. იაგოდას წერილს სტალინმა რეზოლუცია დაადო „აუცილებელია ეს არამზადები სამაგალითოდ დაისაჯონ, ხოლო კანონმდებლობაში შევიტანოთ შესაბამისი სახელმძღვანელო გადაწყვეტილება!“. მალევე, მამათმავლობის კანონის მიღების შემდეგ, სტალინს წერილი მისწერა ბრიტანელმა კომუნისტმა პარი ო უაიტმა, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა და გაზეთ Moscow Daily News-ში მუშაობდა. წერილში ნათქვამი იყო, რომ კანონმა შესაძლოა მწვავე უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს დასავლეთ ევროპის მემარცხენე ძალებში. სტალინმა წაიკითხა წერილი და მიაწერა: „უიტი იდიოტი და დეგენერატი“. მცირე ხანში უაიტი საბჭოთა კავშირიდან გააძევეს... მთლიანად, საბჭოთა კავშირის ისტორიის მანძილზე 1934 წლის 7 მარტიდან მოყოლებული, გასამართლდა 60 000 პომოსექსუალი, მათი უმეტესობა შრომით ბანაკებში გადასახლეს. ახლა, საქართველოს ხელისუფლება თუ ასურეთში უპირებს შრომის ფერხულში ჩაბმას ქართველ ტრანსგენდერებს, ძალიან შემცდარა — მათი უმრავლესობა სოფლიდანაა და თოხსა და ბარს გამოქცეულები ახლა ისევ მიწას დაუბრუნდებიან?...

კომუნისტების დროს იყო დევიზი „ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს!“ როგორც ჩანს, ცოტა ხანში ასეთი დევიზი გაჩნდება „ყველაფერი საუკეთესო ლგბტ-ს წარმომადგენლებს!“ მა გოგონას რაღა, ვირის თავფახი?!

გიორგი ჩხეიძე



# რამ უნდა გაააფაროს ღარი, თუ პირველად მოხარების საგნებსა კი უსხოთიდან შემოვიტანო?



უცნაურია, მაგრამ ფაქტია, მიუხედავად ღარის კურსის დაცემისა, ჩვენთან პირველადი მოხარების სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასები არ გაზრდილა. პირიქით, ზოგიერთი მათგანი გაიფარა კიდევ მაგალითისთვის, შარშან კარტოფილს 1-1,5 ლარზე იაფად ვერ იყიდდით, წლეულს კარტოფილის ფასი მაქსიმუმ, 70 თეთრია იმის მიხედვით, თუ სად ვიდულობთ. მცირედით, მაგრამ ასევე გაიფარა ხაზვი, ჭარხალი, სტაფილო. ფასი არ შეცვლილა კომბოსტოზე. თაფლის, ხორცის, რძის პროდუქტების ფასი, აგერ, უკვე ოთხი წელია, სტაბილურია.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან, როგორც შარშან,

წლეულს კიტრი და პომიდორიც შარშანდელთან შედარებით გაცილებით იაფი იყო. ხალხი, მართალია, ნელ-ნელა, მაგრამ მიწის დამუშავებას უბრუნდება. უმადური არ გვეგონოთ, მაგრამ ერთი კი უნდა გითხრათ: მოხვანა-დათესვაში დახმარება კარგია, მაგრამ ხელისუფლება მოწვეული პროდუქციის გასაღებაში უნდა შეგვეშველოს. ამის გარდა, ხალხის სოფლად დაბრუნება-დამაგრება აუცილებელია. საამისოდ კი პირობების შექმნა საჭირო. არის სოფლები, სადაც მხოლოდ ასაკოვანი ხალხია დარჩენილი. ისინიც რომ ადარ იქნებოდნენ, დარჩება ნასოფლარი. სოფლის აღორძინების გარეშე ქვეყანას არ ეშველება“.

რაობდნენ მატარებლები. დღეს კი არც მატარებელია და არც ავტობუსები. არადა, ელექტრომატარებლები რომ მოძრაობდნენ (იგივე „ელექტრიკები“), რაოდენ დიდ შეღავათს მისცემდა მოსახლეობას, თუნდაც იქაური გლეხობა შეძლებდა თავის მოწვეული პროდუქციის ჩამოტანას და გაყიდვას. ასეთ შემთხვევაში კი ფასებიც დაიწვედა, რადგან გლეხკაცი აღარ დაელოდებოდა იქ ჩამსვლელ გადაყიდველს, რომელიც ცდილობს, მეოთხედ ფასად შეიძინოს ეს თუ ის პროდუქტია. ალბათ, ღირს ამზე დაფიქრდეს, ვის კომპეტენციაშიც არის ეს საკითხი. საერთოდ, რომ არ გვექნდეს კახეთში რკინიგზა, ალბათ, სასწრაფოდ უნდა გაგვეყვანა.

თუნდაც სოფლის მეურნეობის და მისგან დამზადებული პროდუქტია, როდესაც შეგვიძლია თავადვე ვაწარმოოთ და ექსპორტზეც გავიტანოთ. საბჭოეთის დროს საქართველოში კაკლის მურაბას აწარმოებდნენ, რომლის 80-90 პროცენტი ექსპორტზე გადიოდა. ჩვენს ქვეყანას აქვს პოტენციალი, აწარმოოს პროდუქტია, რომელიც ვალუტას შემოიტანს. საამისოდ კი სოფლის მოვლა-აღორძინება აუცილებელია.

შეიძლება აღვადგინოთ ეს დარგი საქართველოში. გარდა იმისა, რომ აღდგებოდა საწარმო და გვექნებოდა საკუთარი ნაწარმი, შეგვიძლია ნედლეული თამბაქოს ექსპორტი ვაწარმოოთ. უბრალო არითმეტიკაა საჭირო, რომ გამოვიანგარიშოთ, რა რაოდენობის მოგება შეიძლება მიიღოს ქვეყანამ. საერთოდ, მეთამბაქოება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია.



ასევე წლეულს, ნიგოზი და ნიორია გაძვირებული. მიზეზი, როგორც გაძვირებები ამბობენ, კაკლის ნაკლები მოსავალია, ხოლო ნიორი, როგორც შარშან, ისე წლეულსაც, დიდი რაოდენობით გაიტანეს ექსპორტზე და სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია გაძვირება.

ფერმერთა დახმარების პროგრამის ეფექტიანობაზე ისიც მტყვევებს, რომ წლეულს კახეთის მოსახლეობამ ყურძნის მოსავლიდან 97 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო. ეს ოფიციალური ცნობით.

მოდით, გულახდილად ვთქვათ — თითოეულ ჩვენს ოჯახში, თუნდაც სამზარეულოში, აბაზანა-ტუალეტში რამდენი ნივთი გვაქვს, რომელიც საქართველოშია დამზადებული? სამწუხაროდ, თითქმის არაფერი! ელემენტარულად, ასანთი, საპონი, პიჯიკური ქაღალდიც კი უცხოეთიდან შემოგვაქვს! ალბათ, იშვიათია ქვეყანა, რომელიც პირველადი მოხმარების საგნებს არ აწარმოებდეს და მხოლოდ იმპორტზე იყოს დამოკიდებული.

იმპორტი კარგია, როდესაც ქვეყანაში დეფიციტური, ხარისხიანი საქონელი შემოგვაქვს, მაგრამ როდესაც უხარისხო და, ამასთან, ხარისხთან შედარებით ძვირი საქონელი შემოდის, გაუმართლებელია. ასეთ შემთხვევაში ჩვენი შემომტანები თუ ვაჭრები უცხო ქვეყნების ეკონომიკის სასიკეთოდ მუშაობენ. საიდუმლო აღარავისთვის არის, რომ უცხოეთის ბევრ ქვეყანაში აწარმოებენ გენმოდულირებულ საკვებ პროდუქტებს. საქართველოს კი აქვს პოტენციალი, აწარმოოს ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი კვების პროდუქტია.

მისასაღებელია საქართველოს მთავრობის მიერ დელოარიაციის დასახული გეგმა. თუმცა ამის განსახორციელებლად, სოფლის მეურნეობის აღორძინების პარალელურად, იმ გადამამუშავებელი საწარმოების აღდგენა-განვითარებაც არის საჭირო, სადაც გვექნება ტრადიციები. მართლაც რატომ უნდა მაინტერესებდეს დოლარის კურსი, როდესაც ჩვენთვის მთავარია, როგორი მსყიდველობითი უნარი აქვს ეროვნულ ვალუტას — ლარს. ბოლოს ერთსაც გავიხსენებთ: საბჭოეთის პერიოდში მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტმა არ იცოდა და არც აინტერესებდა დოლარის კურსი, რადგან ანგარიშსწორება მხოლოდ მანეთებში გახლდათ.

კარგი მოსავლიანობა, როგორც ირკვევა, ფერმერთა დახმარების განხორციელებულმა პროგრამამ განაპირობა. კარგად გვახსოვს, რომ საქართველოს ბაზრებში, ძირითადად, მეზობელი ქვეყნებიდან შემოტანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტები იყიდებოდა. ახლა იმპორტი ადგილობრივმა ნაწარმმა ნაწილობრივ, მაგრამ მაინც ჩაანაცვლა.

აქსიომაა, საწვავის გარეშე ვერც სავარგულები მოიხვენება და ვერც დათესავს გლეხობა. ამის გარდა, მეზავრობა საქართველოში, ძირითადად, მხოლოდ სამარშრუტო ტაქსებით არის შესაძლებელი. სავარაუდოდ, მეზავრობის საფასურის გაზრდაც არის მოსალოდნელი. საწვავის, კერძოდ, ბენზინის გაძვირება იმ გარემოებითაც არის განპირობებული, რომ ჩვენი მეზობელი ნავთობის მომპოვებელი და ბენზინის მწარმოებელი ქვეყნები, საიდანაც შემოდის საქართველოში ნავთობპროდუქტები, როგორც ამბობენ, მომავალი წლიდან გააძვირებენ ბენზინის ფასს. აქედან გამომდინარე, ჩვენთან მოსალოდნელია ბენზინის საგრძნობლად გაძვირება, რაც მთელ მოსახლეობას მძიმე ტვირთად დაგვაწვება.


იგივე შეიძლება ვთქვათ კვების პროდუქტებზე, რატომ უნდა შემოგვექონდეს უცხოეთიდან

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალი წლიდან მოსალოდნელია თამბაქოს ნაწარმზე აქციზის მოსაკრებლის გაზრდა. დღეს საქართველოში მხოლოდ უცხოური, დაბალი ხარისხის თამბაქოს ნაწარმი იყიდება.

ახლა, ვიზალიბერალიზაციის მიღების შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია და მოსალოდნელია კიდევ ლარის კურსის კიდევ უფრო ვარდნა და ამას აქედანვე უნდა შევხვდეთ...

„მოსავალი წლეულს მართლაც კარგი მოვიდა, — გვითხრა ერთ-ერთმა ფერმერმა, რომელიც თავის საკუთარ პროდუქციას ყიდდა. — ჩვენთვის, გლეხობისთვის, მართლაც დიდი შეღავათი იყო სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება. პირადად მე, კარტოფილისა და კომბოსტოს გარდა, სხვა ბოსტნეულიც მოვიწიე. ფასები, შარშანდელთან შედარებით, დაბალია. მხოლოდ კარტოფილსა და კომბოსტოს არ ვგულისხმობ. ხომ ნახეთ,

რადგან ტრანსპორტი ვახსენეთ, არ შეიძლება საქართველოს რკინიგზას აუუაროთ გვერდი. მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც კი კახეთის მიმართულებით მოძ-



ბია აპურელი 551 71 27 07



# მსოფლიოს ადამიანებად გარდასახული უსსოპლანეტები აკონტროლებენ?

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, ინფორმაციები „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შესახებ შეიცავდა სხვა პლანეტებიდან თუ პარალელური განზომილებებიდან შემოდგომული უცხო ცივილიზაციების არსებობას დედამიწაზე. ამ ვერსიას საკმარისად დიდი ადგილი ეკავა ამერიკელი და ბრიტანელი მწერლების, მილტონ უილიამ კუპერისა და დევიდ აიკის შეთქმულების თეორიებში.

აღნიშნულ თეორიებში განვითარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ უცხოპლანეტელები ჩვენს შორის უკვე მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდნენ, მაგრამ ხელისუფლებამ

კაცობრიობის ტექნოლოგიური პროგრესი, რათა ჩამოყალიბდეს, როგორც „პოსტადამიანთა მმართველი კლასი“. თეორიებში აღწერილ მომავალში მოვლენები, იმდენად დიდი ტემპებით განვითარდება, რომ ჩვეულებრივი ადამიანები ვერ შეძლებენ წინასწარ განჭვრიტონ, ან საერთოდ შეიმეცნონ მათ ირგვლივ მიმდინარე ცვლილებების არსი. კონსპიროლოგები შიშობენ, რომ ამ ყველაფრის შედეგი იქნება „დიდებული ახალი მსოფლიოს“ გამოცხადება, როგორც დისტოპია, სადაც „ჩვეულებრივ ადამიანთა“ კლასი გადაშენდება. ამერიკელი სოციოლოგი ჯიმი ჰაკი თვლის, რომ

ზერვო სისტემის დაარსება 1913 წელს. ერთა ლიგის დაარსება 1919 წელს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაარსება 1944 წელს. მსოფლიო ბანკის დაარსება 1944 წელს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსება 1945 წელს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის დაარსება 1948 წელს. ევროპის კავშირის დაარსება 1993 წელს. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაარსება 1995 წელს. აფრიკის კავშირის ფორმირება 2002 წელს. სამხრეთ ამერიკის ერთა კავშირის დაარსება 2008 წელს. ყოველი მათგანი კი საბოლოო მიზნის მხლოდ ეტაპს წარმოადგენს. ამერიკელ მემარჯვენე პოპულისტებს შორის გავრცელებული კონსპირაციული თეორიის თანახმად, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ჩამოყალიბებისაკენ მიმართული შემდეგი ეტაპი იქნება „ჩრდილოეთ ამერიკის კავშირის“ (რომლის წევრებიც იქნებიან ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და მექსიკა) დაარსება და მისი ვალუტის შემოღება, რომელსაც უკვე მოიხსენიებენ, როგორც „ამერო“. თეორიაში ასევე განვითარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ საზოგადოებისათვის უცნობი ინტერნაციო-



ხელისუფლების ჩანაცვლება ევროპისკავშირის მსგავსი პოლიტიკური კავშირითა და ბიუროკრატიით. 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგად, 2009 წლის მარტში ჩინეთმა და რუსეთის ფედერაციამ სასწრაფოდ დაიწყეს ახალი საერთაშორისო სარეზერვო ვალუტის განხილვა და გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციამ შესთავაზა საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხის სპეციალური უფლებების მნიშვნელოვნად გაფართოება. კონსპიროლოგები შიშობენ, რომ აღნიშნული წინადადება რეალურად ემსახურება ერთიანი მსოფლიო ვალუტის შექმნას „ახალი მსოფლიო წესრიგისათვის“. პოლიტოლოგები მსჯელობენ, რომ ვინაიდან ნაციონალური ხელისუფლებანი და ინსტიტუტები რეალურად არაფერქმედებენ არიან კონკრეტული სახელმწიფოების ფარგლებს გარეთ არსებული გლობალური პრობლემების წინააღმდეგ, უახლოეს ათწლეულში რეგიონალიზმი გახდება მთავარი ძალა, რომელიც გულისხმობს ძალაუფლების „კონცენტრირებას“ გარკვეულ რეგიონალურ ცენტრებში: დასავლეთი ევროპა მოექცევა ბრიუსელში, დასავლეთი ნახევარსფერო – ვაშინგტონში, აღმოსავლეთი აზია – პეკინში, აღმოსავლეთი ევროპა – მოსკოვში, შანხაის თანამშრომლობის

თვლიან, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარება მოხდება ფარული ჯგუფის მიერ ინსცენირებული პუტჩის მეშვეობით, რის შედეგადაც მსოფლიოს ქვეყნები დაექვემდებარებიან ტოტალიტარულ მსოფლიო ხელისუფლებას, რომელსაც გააკონტროლებს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ამ სამხედრო გადატრიალების შემდეგ შეჩერდება კონსტიტუციის მოქმედება, გამოცხადდება საომარი მდგომარეობა, სამხედრო მალაქინოსონები კი დაინიშნებიან სახელმწიფოს მეთაურებად.

ლტოლოგილთა ბანაკები გამოყენებული იქნება, როგორც საკონცენტრაციო ბანაკები, სადაც საკარაულო „დისიდენტებს“ მოათავსებენ, რადგან არასათანადო ძალისხმევას გამო ისინი უბრალოდ ვერ შეძლებენ ერთმანეთისაგან გაარჩიონ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დადგომის რეალური საფრთხეები და უბრალო, პაციფისტი „დისიდენტები“.

კონსპიროლოგების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება ზორციელდება მასობრივი მეთვალყურეობისა და კონტროლის, საქონელზე სპეციალური შტრიხ-კოდის დაწესების, და ბოლო დროს მეტად გავრცელებული ტეგირებისა თუ ადამიანთა სხეულში მიკროჩიპების იმპლანტაციების მეშვეობით. თეორეტიკოსთა მტკიცებით, ხელისუფლება და კორპორაციები ცდილობენ რადიოსიხშირული იდენტიფიკაციის მეშვეობით თითოეული მოქალაქის ნაბიჯის გაკონტროლებას, როგორც ეს აღწერილია ჯორჯ ორუელის ცნობილ ნაწარმოებში „1984“. ქრისტიანი კონსპიროლოგები თვლიან, რომ ჩიპების იმპლემენტაცია უნდა შეჩერდეს, რადგან მათი მტკიცებით, თანამედროვე მონაცემთა ბაზის, კომუნიკაციების ტექნოლოგიებისა და იდენტიფიკირების სისტემის შერწყმამ შესაძლებელი გახადა ბიომეტრიული ნიშნის შექმნა, რაც მათი აზრით ძალიან ჰგავს იოანეს გამოცხადებაში (ბიბლიის ბოლოთავი) ნახსენებ „მხეცის ბეჭედს“ [5].



ბა საზოგადოებას უმაღლეს მათ ფარულ შემოჭრას და დამკვიდრებას ჩვენს პლანეტაზე. უცხოპლანეტელები დღემდე ფარულად მანიპულირებენ განვითარებითა და პროგრესული ცვლილებებით ადამიანთა შორის, რათა უფრო ეფექტურად გააკონტროლონ და გამოიყენონ ადამიანისეული რესურსები. ზოგიერთი თეორიის თანახმად, უცხოპლანეტელთა ნაწილმა მიიღო ადამიანთა ფორმა, რათა მარტივად შერწყმოდნენ საზოგადოებას და გაეკონტროლებინათ წამყვანი პოზიციები მსოფლიო სახელმწიფოების ხელისუფალთა რიგებში, კორპორაციებში, რელიგიურ გაერთიანებებში, საბოლოო მიზანს კი წარმოადგენს პლანეტის სრული კონტროლი. მითითებული ფარული ორგანიზაცია, სახელწოდებით „მეგვსტიკ 12“ ზშირად წარმოდგენილია, როგორც ფარული ხელისუფლება, რომელიც თანამშრომლობს უცხო ცივილიზაციებთან, ასევე ხელს უწყობს ადამიანთა მოტაცებებს, სანაცვლოდ კი იღებს დახმარებას სამხედრო დანიშნულების მქონე „მფრინავი თევზების“ განვითარებასა და გამოცდაში (ტესტირების პროცედურა ხორციელდება „ზონა 51“-ში), რათა აშშ-ის სამხედრო ძალებმა სრულ დომინანტურ პოზიციას მიადწიონ. ანტიმეტროპოლისა და ნეო-ლუდისმის მომხრე კონსპიროლოგები თავიანთ თეორიებში ყურადღებას ამახვილებენ ტექნოლოგიურ განვითარებებზე. ისინი თვლიან, რომ მოდერნიზმით შეპყრობილი ძალაუფლების გლობალური ელიტა ტრანსჰუმანიზმის მეშვეობით ცდილობს განავითაროს და შემდეგ გამოიყენოს



ამერიკის შეერთებული შტატების დამაარსებელთაგან მრავალი გავლენიანი წევრი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ადამიანთა „გაუმჯობესებას“ ტექნოლოგიური მიღწევებით, ამის მაგალითია ჯორჯ ბუშის (უმცროსი) მიერ დაარსებული „პრეზიდენტის ბიოეთიკის საბჭო“, რომელმაც საერთაშორისო შეთანხმებით აკრძალა ადამიანთა კლონირება და გენეტიკური მანიპულაცია. ის ასევე ამტკიცებს, რომ კონსპიროლოგები ვერ აფასებენ, თუ რეალურად რამდენად შეზღუდულია ტრანსჰუმანიზმი მოძრაობა. ჩვეულებრივ, კონსპიროლოგები თვლიან, რომ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ დამყარება მოხდება გრადუალისტური გზის გამოყენებით — ეტაპობრივად და აუქჩარებლად, ეს ყველაფერი კი ჩვენს თვალწინ ხდება: აშშ-ის ფედერალური სარე-



ნალური ელიტა მიზნად ისახავს შეცვალოს აშშ-ის ხელისუფლება ტრანსნაციონალური ხელისუფლებით, ამიტომაც კონსპიროლოგებს სწამთ, რომ კანადას, აშშ-სა და მექსიკას შორის საზღვარი ფარულად იშლება გლობალისტების მიერ, რომელთა საბოლოო მიზანია ჩრდილოეთ ამერიკული სახელმწიფოების ნაციონალური

ორგანიზაცია და დიდი ოცეული კი დროთა განმავლობაში ევროკავშირის მსგავსად უფრო გავლენიან ორგანიზაციებად ჩამოყალიბდებიან. ამ შემთხვევაში იბადება კითხვა, თუ როგორ მოახდენენ ურთიერთ შემოქმედებას აღნიშნული რეგიონალური ცენტრები. ამერიკელი მემარჯვენე პოპულისტი კონსპიროლოგები

ქატიკან ზარნაძე  
599 52 60 30





# რას განასახიერებს ნაძვის ხის კენწეროზე დაბარებული პარსკვლავი?

ახალი წლის შემობრძნებამდე სულ რამდენიმე დღე დარჩა. ბევრმა ჩვენგანმა საახალწლო ნაძვის ხის მორთვა უკვე მოასწრო, ზოგი კი ამ მნიშვნელოვანი პროცესისთვის ახლა ემზადება, თუმცა ძალიან ცოტაა ისეთი, ვინც იცის, რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ნაძვის ხის კენწეროზე ახალი წლის აუცილებელი ატრიბუტის- ვარსკვლავის დამატებას და ნაძვის ხის ძირში საჩუქრების დაწყობას.

სინამდვილეში, ეს მხოლოდ ტრადიცია კი არა, 2000 წლის წინ დაბადებული იესო ქრისტეს სიმბოლური თავგანსცემაა. იმის მიუხედავად, მართლმადიდებლურია თუ კათოლიკური, ევროპულ ტრადიციებში ახალი წელი ქრისტეს შობის დროს აღინიშნება. (კათოლიკებში 25 დეკემბერს, მართლმადიდებლებში 7 იანვარს), ამიტომ ქრისტიანული სამყაროსთვის ნაძვის ხის წვერზე დამატებული ატრიბუტი სიმბოლურად, ბეთლემის ვარსკვლავს განასახიერებს, სადაც იესო დაიბადა.

ძველ დროს, ხალხს სწამდა, რომ დიდი ადამიანების დაბადებასა და გარდაცვალებას თან სდევდა ცაზე მანათობელი ვარსკვლავის გამოჩენა ან გაქრობა. სწორედ ამიტომ, მოელოდნენ რა ღვთის განგების აღსრულებას, მოგვები ცაზე მანათობელის გამოჩენას ელოდნენ. როცა ვარსკვლავი შენიშნეს, მიხვდნენ, რომ კაცობრიობის მსხნელი უკვე დაიბადა და მაშინვე იუდეველთა სამეფოს დედაქალაქისაკენ გამოემშურნენ, რათა თავიანთი ეცათ ახალშობილი მაცხოვრისთვის.

ამ დროიდან მოყოლებული, ადამიანებისთვის რეაქტიური ვარსკვლავი ქრისტეს შობის, მოგვიანებით კი ახალი წლის სიმბოლო გახდა. საახალწლო ვარსკვლავი წინასწარმეტყველების ასრულებისა

და საყოველთაო სიხარულის სიმბოლოა. ამიტომ, მორწმუნე ადამიანისთვის ეს სიმბოლო კეთილდღეობასთან, სიყვარულთან და ადამიანების დაახლოებასთან ასოცირდება.

ცნობილია, რომ მოგვებმა ახალშობილ იესოს საჩუქრები მიართვეს, რითაც უფლისა და წინასწარმეტყველების პატივისცემა გამოხატეს. სწორედ ამას უკავშირდება ვარსკვლავით დამშვენებული ხის ქვეშ საჩუქრების დაწყობის ტრადიცია, რაც სიმბოლურად ღმერთისთვის საჩუქრის მირთმევას განასახიერებს.

რაც შეეხება ახალი წლის სიმბოლოს, არსებობს ლამაზი ლეგენდა, რომ შობის ღამეს ყველა მცენარე ახალშობილ იესოსთვის თავიანთი საცემად გაემშურა. დანიშნულების ადგილზე პირველი ბეთლემის სიახლოვეს შვარდი პალმა მივიდა. მას კიპარისები, ტირიფები, მუხები და სხვა ხეები მიჰყვნენ. ყველაზე ბოლოს შორეული ჩრდილოეთიდან მოსული ნაძვი გამოჩნდა. ადრე მოსულმა ხეებმა ნაძვი იესომდე არ მიუშვეს, მაგრამ ამ დროს, ციდან ვარსკვლავებმა იწყეს ცვენა. იესოს უკანასკნელი სტუმარი ათასწორად მოციმციმე ვარსკვლავებით დაიფარა და ირგვლივ მყოფი ყველა ხე დაჩრდილა.

ზუსტი თარიღი, როცა ნაძვი ახალი წლის სიმბოლოდ იქცა, უცნობია, თუმცა ვარაუდობენ, რომ ეს გერმანიის ტერიტორიაზე მოხდა.

მოგვიანებით, გერმანელებისგან ტრადიცია პოლანდიელებმა და ინგლისელებმა გადაიღეს. XVI საუკუნეში ნაძვი ოფიციალურად, ახალი წლის სიმბოლოდ იქცა. თავიდან მას ვაშლებით, მსხლებით და კაკლებით რთავდნენ, რაც უკავშირდებოდა თქმულებას, რომ იესო ქრისტეს



დაბადების დღეს, ყველა ხე ერთბაშად აყვავდა და ნაყოფი მოიხსა. დროთა განმავლობაში, ნაძვის ხე გაცილებით დახვეწილი და ესთეტიურად მიმზიდველი გახდა. ქალაქის მოედანზე საახალწლოდ მორთული პირველი ნაძვის ხე XVII საუკუნის მეორე ნახევარში, საქსონიის ქალაქ ჰანოვერში გამოჩნდა. XIX საუკუნიდან შობას და ახალ წელს ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია მთელ ევროპაში გავრცელდა. 1818 წელს უნგრეთში, 1820 წელს ჩეხეთში, 1829 წელს სკანდინავიაში.

პირველი საზოგადოებრივი ნაძვის ხე საფრანგეთში 1840 წელს, ლუი ფილიპის მეფობის დროს გამოჩნდა.

ინგლისში ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია 1841 წელს დედოფალი ვიქტორიას ქმრის მცდელობით დამკვიდრდა. სულ რაღაც 10 წლის შემდეგ, სამეფო ოჯახის მსგავსად, საახალწლოდ ნაძვის მორთვის ტრადიცია მთელმა ინგლისმა აიტაცა.

ნაძვის ხის მორთვის ტრადიცია ამერიკაში გერმანელმა ემიგრანტებმა დაამკვიდრეს.

რუსეთში საახალწლო ნაძვის ხის ტრადიციის დამკვიდრება ჯერ კიდევ პეტრე პირველმა სცადა, თუმცა ამ ტრადიციამ მხოლოდ 100 წლის შემდეგ მოიკიდა ფეხი. რუსეთში ნაძვის მორთვა XIX საუკუნეების შუა ხანებიდან დაიწყო. თავდაპირველად ამას გერმანულ ოჯახებში აკეთებდნენ, რომლებიც მრავლად იყო როგორც პეტერბურგში, ისე – მოსკოვში. შემდეგ ახალი ჩვეულება რუსებს შორისაც გავრცელდა.

სავარაუდოდ, საახალწლოდ ნაძვის ხის მორთვის ჩვეულება საქართველოში რუსეთიდან შემოვიდა. ახალ წელს ახლდა მისი აუცილებელი ატრიბუტი – ჩიჩილაკი, რომელსაც „ბასილას წვერებსაც“ ეძახდნენ. ჩიჩილაკის მეორე სახელი წმინდა ბასილის სახელს უკავშირდება და ბუნებრივია, ქრისტიანობის ხანაში უნდა დამკვიდრებულიყო.

და ბოლოს, ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საახალწლო სიმბოლო- თეთრწვერა მოხუცი, კეთილი სანტა-კლაუსია, რომლის მოსვლას ყოველ შობა-ახალ წელს მილიონობით ბავშვი ელოდება. ბევრმა შეიძლება არ იცოდეს, რომ თანამედროვე სანტა კლაუსის სახე ქრისტიანულ სასწაულმოქმედ წმინდანს ნიკოლოზს უკავშირდება.

წმიდა ნიკოლოზი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა, როცა შეიტყო, რომ ერთმა დატაკმა, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა და მათი გამზითვება და გათხოვება არ შეეძლო, მათი საროსიკოპოში გაგზავნა და ამ გზით გამდიდრება გადაწყვიტა. ქალწულები ტირილით ევედრებოდნენ უფალს ამ საშინელი ხვედრისაგან გამოსხნას. ღმერთმა მათ დამხმარედ მღვდელი ნიკოლოზი მოუვლინა, რომელიც სამჯერ მივიდა დატაკის სახლთან და ყოველ მისვლაზე, კარის ზღურბლთან ოქროთი სავსე ქისა დატოვა. დატაკმა სამივე ქალიშვილის გამზითვება და გათხოვება შეძლო. ამგავარად იხსნა წმიდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისაგან. წმიდა ნიკოლოზის ცხოვრების ამ ეპიზოდმა განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციაში.

ნატა შაშუპია

ISSN 2233-3983



იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლადის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com



**საერთო გაზეთი**  
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე